აშშ - საქართველო

შვიდწლიანი თანამშრომლობა გაფართოვდება

10 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალ-მაიორი დევიდ პოიტრესი თანმხლებ პირებთან ერთად.

შეხვედრაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის ეროვნულ გვარდიათა შორის 7-წლიანი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებზე. მათ შორის, ვერტმფრენების მომზადების პროგრამის შესახებ. გარდა ამისა, დაგეგმილია ამერიკული სამხედრო კონტინგენტის სპეციალური მომზადება საქართველოში საინჟინრო-სამშენებლო საქმიანობისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ძალზე მაღალ დონეზე ვითარდება, განსაკუთრებით „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ამოქმედების შემდეგ.

— ქართული არმიის ძირითადი ბირთვი მომავალში ის ახალგაზრდები იქნებიან, რომლებიც „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში მონაწილეობენ,— განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

დევიდ პოიტრესმა ამერიკელი ხალხის სახელით მადლობა მოახსენა საქართველოს პრეზიდენტს იმ შეფასებისათვის, რომელიც მან ნიუ-იორკში მომხდარ ტრაგედიას 11 სექტემბერსვე მისცა.

მოგვიანებით, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა დევიდ პოიტრესმა ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

კონტაქტები

კახეთის კულტურის დღეები საფრანგეთში

იხ. მე-8 გვ.

სურათზე: იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, სენატორი ანრი დე რენკური (ცენტრში), საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი გოჩა ჩოგოვაძე და კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ბიძინა სონღულაშვილი (მარცხნიდან პირველი).

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №248 (4307) პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

ხრიკები

დიდ კორუფციაში

მართლა ასე ბნელა?

ყალბი ბანკნოტების, ასევე ყალბი დოკუმენტების დამზადება ახალი ხილი არ გახლავთ. მსგავსი აფიორები საუკუნეების წინათ დაიწყო და ახლაც გრძელდება. ჩვენ ვებრძვით გამყალბებლებს, მაგრამ რატომღაც ხმას არ ვცემთ იმ მოხელეებს, რომლებიც შემდეგ ბრმად ენდობიან ამ ყალბ დოკუმენტებს და ამით აზარალებენ სახელმწიფო ინტერესებს.

ჯერ გამყალბებლებს შევეხოთ.

ახლახან თბილისის პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ დააკავა გარი ნაზაროვი და ანდრია გუსევი, რომლებიც ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს, — „ბორჯომის" ეტიკეტით დაწყებული, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომით დამთავრებული. საამისოდ მათ მთელი ინდუსტრია გამართეს და სარფიან შემოსავალსაც მიაგნეს. როგორც ამბობენ, მართვის მოწმობას ასაღებდნენ 50 დოლარად, პოლიციელის მოწმობას — 200 დოლარად, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომლის მოწმობას — 500 დოლარად, ჰოლოგრამიან ანგარიშ-ფაქტურას — 700 დოლარად...

იხ. მე-2 გვ.

ვიღაცამ ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციაში მიიტანა მანანა ბაკურაძის გაყალბებული პირადობის მოწმობა და შექმნა ფირმა. ამის შემდეგ გამოიტანა მკაცრი აღრიცხვის 25 კომპლექტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა გამოიყენეს, ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ მოახდინეს და სახელმწიფო 44.685 ლარით აზარალეს.

პრეზიდენტი

საქართველო კვლავაც ევროპის საბჭოს ყურადღების ცენტრშია

„კონფლიქტების მიმართ ისეთივე პრინციპული და გლობალური მიდგომაა საჭირო, როგორიც მსოფლიომ დაიკავა ტერორიზმის წინააღმდეგ"

ევროპის საბჭო მხარს უჭერს საქართველოს რეფორმების განხორციელებაში და აპირებს ეს მხარდაჭერა ფინანსურადაც გააძლიეროს ევროკომისიის დახმარებით. 10 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დირექტორატის დირექტორმა კლაუს შუმანმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში გაფორმდება ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტი, რომელიც რეფორმებში საქართველოს დახმარებას ითვალისწინებს. ანალოგიური პროექტი, რომელიც მთლიანად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა, უკვე არსებობს. ახალ პროექტში კი ევროსაბჭოს ყურადღების ობიექტი მხოლოდ საქართველო იქნება.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

ეთერ გავაშელიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო მმართველობით ორგანოებში მოღვაწეობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ეთერ **გავაშელიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ოფიციალური ინფორმაცია

განკარგულებაში შეტანილია ცვლილებები

„ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 25 აპრილის №342 განკარგულებაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შეტანილია ცვლილება: ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანილია კობა გვენეტაძე. **ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულია ლაშა ჟვანია — საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.**

საქინფორმი.

სახელმწიფოებრიობა

ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე

ესსეისტური ჩანაწერები

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ მიმდინარე წლის 30 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული დიალოგი საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ავტორთან ბატონ ბაკურ გულუასთან — **„საქართველოს კონსტიტუცია — ტერაქტების სამიზნე".**

ხსენებულ მასალაში მოცემული დაპირების თანახმად, ვიწყებთ ბაკურ გულუას წერილების სერიალის გამოქვეყნებას ამ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი თემატიკის გარშემო, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია, დიდი ვნებათაღელვა ახლავს. საქმე ეხება საქართველოში დღეს არსებულ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც შექმნილია საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმით, მინისტრთა კაბინეტის შემოღების და, საერთოდ, ამ კუთხით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს.

უფრო სწორად, ავტორი განავითარებს საწინააღმდეგო აზრს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ფართო მკითხველისათვის. რედაქცია ელოდება გამოხმაურებას ამ, მართლაცდა, მნიშვნელოვან საკითხზე.

იხ. მე-3 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის

წყალდიდობის შედეგად დაზარალებული კახეთის მხარის დასახმარებლად ღონისძიებათა განხორციელებაზე იმსჯელეს 10 ოქტომბერს სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ თათბირზე.

მომავალში ღვარცოფის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა სამინისტროს 100 ათასი ლარის გამოყოფა დაავალა მდინარე დურუჯის კალაპოტის გასუფთავებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის სტიქიით მიყენებული ზარალი 100 მილიონ ლარს აღემატება.

საქინფორმი.

ციტატა

სატკივარი

„მე შევედი მსოფლიო სავაჭრო ცენტრში და მომესმა ყვირილი. დავინახე ორი ახალგაზრდა კაცი. ისინი იწვოდნენ. მე არ შემეძლო ამის გადაღება. არავინ, არავინ არ უნდა დაინახოს ასეთი რამ", - ამას ლაპარაკობს ამერიკელი კინოდოკუმენტალისტი. ლაპარაკობს 11 სექტემბრის ტრაგედიის შესახებ.

ეს - მათთან. ჩვენთან როგორღაა?

ტელევიზიაში მთავარი ნგრევისა და დაღუპვის თემა გახდა. ტელევიზია უგულებელყოფს ეთიკის ელემენტარულ ნორმებს და ყოველ ოჯახში შეაქვს სიკვდილის სანახაობა. მორგი - ყოველ ოჯახში! სახლში კი ბავშვები იზრდებიან...

ერთი ჩვენი მკითხველი ქალბატონი სევდიანად გვწერდა: „დაივიწყეს, დავიწყეს: არის არა მხოლოდ საფლავები, არამედ - ბუდეებიც".

„კომსომოლსკაია პრავდა" №184.

კოლეგები

რიჟრაჟთან ერთად ნაგრძნობი სითბო,

ანუ რა და როგორ ხდება სატელევიზიო პროგრამა „ალიონის" კულისებში

„ალიონის" წამყვანები რუსუდან მანჯგალაძე და გიორგი ახვლედიანი.

ჩაბნელებულ და ჩაძინებულ ქვეყანას, თბილისს, რიჟრაჟი და „ალიონი" ერთბაშად ანათებს და კიდეც აღვიძებს... დილის სიგრილეს „ალიონი" თბილ აურას უმზადებს და ახალგამოღვიძებულთ მშვიდობიან დღეს უსურვებს, ჩვეულებრივ დღეს უბვეულო განწყობას ახვედრებს, მაყურებელს არაჩვეულებრივ ხასიათზე აყენებს და... და თანაც, ნაზ და გულითად ღიმილს უძღვნის.

„ალიონი" აგრესიულ ფონს ერიდება, არც სენსაციებს ეტანება და არც ინტრიგებს ხლართავს... თუმცა კი, ცხოვრებისეულ რიტმს არ კარგავს — მიმდინარე მოვლენებს თავისებურად, საინტერესოდ აღწერს, აღწერს ობიექტურად და ოპერატიულად, ზოგჯერ თითქოს ექსპრომტად... და კიდევ, — მუდამ თანადროულად, ყველასთვის მისაღებად და გასაგებად.

იხ. მე-7 გვ.

გიხაროდენ!

წიკლაურებმა მეორე შვილიშვილითაც გაიხარეს

წიკლაურები თეთრი წყაროდან ვართ ჩამოსულები, მაშინ, როცა რუსთავქალაქი შენდებოდა, მამაჩემი მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა, ასე გავხდით რუსთაველები. ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი ვანო გვიან კი დაქორწინდა, მაგრამ მეუღლე ოჯახის მოყვარული და კარგი დიასახლისი შეხვდა. მათ უფროსი შვილი გოგონა ჰყავთ თამარი, გუშინ კი მზეონას ბიჭი შეეძინა. პირველ შვილიშვილს მეორეც რომ მიემატა, გავიხარეთ. ვიცი, ჩემი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ და ამ ბარათსაც ამიტომ გიგზავნით.

თამარ წიკლაური, რუსთავი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ენერგეტიკა

„ეი-ი-ესი" მორიგ შეღავათს იღებს

9 ოქტომბერს ღამით დასრულდა მრავალდღიანი მოლაპარაკება საქართველოს საბითუმო ენერგობაზრისა და სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს-თელასის" ხელმძღვანელებს შორის. ყოველივე ამის შედეგად ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს საბითუმო ენერგობაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა გააუქმა თავისი განკარგულება, რომლის თანახმადაც „ეი-ი-ეს-თელასს" შეუწყდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება, აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს საბითუმო ენერგობაზრის საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ბოტრჟეცკაიამ.

— ამ დოკუმენტის ძირითადი პუნქტი, — განაცხადა ნინო ბოტრჟეცკაიამ, — არის ის, რომ ზამთრის დამდეგამდე დაიწყოს „ეი-ი-ეს-მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკში ბუნებრივი გაზის მიწოდების დაფინანსება ერთი თვით ადრე (მინიმუმ 3,1 მილიონი დოლარი).

საქინფორმი.

ევროსაბჭოს დელეგაცია - პანკისში

ოქტომბრის დამლევს რუსეთში ჩადის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური დელეგაცია, რომელიც შეიქმნა საქართველოში არსებული ვითარების გასარკვევად. დელეგაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს ევროპარლამენტის ბოლო სხდომაზე.

წინასწარი მონაცემებით, რუსეთის მხრიდან, დელეგაციის შემადგენლობაში შევა ფედერაციის საბჭოს საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარე იური შერანდინი.

პენტაგონი ოპტიმისტურად არის განწყობილი

პენტაგონში „ოპტიმისტურად არიან განწყობილი" საქართველოს ნატოსკენ სწრაფვისადმი, განუცხადა გუშინ პრაიმ-ნიუსს აშშ თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილმა.

მისი თქმით, პენტაგონისთვის ცნობილია, რომ საქართველო პრაღაში ნოემბერში დაგეგმილ ნატოს სამიტზე ამ საკითხზე გარკვეული განაცხადის გაკეთებას აპირებს.

„ეს სერიოზული გადაწყვეტილებაა და, სავარაუდოდ, საქართველო ყველაფერ აუცილებელს გააკეთებს, რათა მიღებული იყოს ნატოში, მაგრამ საკმაოდ ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როდის მოხდება ეს", თქვა მან.

ოთარ შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია იმის დეტალური ანალიზი, თუ რა კრიტერიუმებს უნდა უპასუხებდეს საქართველო, რა ღონისძიებებია განსახორციელებელი, რომ შეესაბამებოდეს ნატოს წევრობის პარამეტრებს.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო არ იფარგლება მხოლოდ განცხადებებით და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს არმიის დასავლეთის სტანდარტების შესაბამისად რეფორმირებისათვის.

საქართველო მიიღებს გარანტიებს

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გენერალ-მაიორ დავით გულუას განცხადებით, საქართველო რუსეთისაგან მიიღებს იმის გარანტიებს, რომ რუსეთის სამხედრო ავიაცია მის საჰაერო სივრცეს მომავალში აღარ დაარღვევს.

როგორც დავით გულუამ განაცხადა, 10-11 ოქტომბერს თბილისში დაგეგმილი ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებების მოლაპარაკებებზე მხარეები თავის თავზე რიგ ვალდებულებებს აიღებენ, რომელთა შორის აღნიშნული საკითხიც იქნება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

„შემოდგომის თბილისი"

მუსიკით თქმული აღსარება

იხ. მე-5 გვ.

გვწერენ

უფალი განსჯის

ბოლო დროს ქართულმა მასმედიამ ამირან გოგიჩაიშვილის დასაცავი კამპანია გააჩაღა. ცხადია, გოგიჩაიშვილისა და გეოლოგიის დეპარტამენტის დავაში წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საავტორო ჯგუფს არაფერი გვესაქმება და არც ამ თემაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს გამოვეხმაურებოდით, რომ არა მათი ზოგიერთი არაობიექტური, ტყუილებსა და ღვარძლზე აგებული დეტალი, რომლებიც, ჩვენი აზრით, პუბლიკაციათა ავტორებისა და თავად ამირან გოგიჩაიშვილის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უსამართლოდ შეურაცხჰყოფენ წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს, მის თავმჯდომარეს და ამ საშვილიშვილო საქმეზე მომუშავე ყველა პიროვნებას.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

ამერიკისა და ბრიტანეთის თვითმფრინავებმა გუშინ დაბომბეს ქალაქ ბასრის აეროპორტი ერაყის სამხრეთში. თავდასხმისას განადგურდა სამოქალაქო დანიშნულების რადარი, გადმოსცემს იტარ-ტასი. ამერიკელი წარმომადგენლის თქმით კი, დაიბომბა ერაყის საჰაერო თავდაცვის ძალების რადარი, და თანაც მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ რაიონში მოპატრულე თვითმფრინავებს მიწიდან ცეცხლი გაუხსნეს.

ჩინელმა არქეოლოგებმა ნინსიას პროვინციაში აღმოაჩინეს დიდი ჩინური კედლის დაკარგული ნაწილი, რომელიც რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ქვიშის გორებით იყო დაფარული. აღმოჩენილი კედლის სიგრძე 80 კილომეტრია, სიმაღლე — 7, სიგანე კი — 6,5 მეტრი.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში:	ღამით +14;	დღისით +27;
მთაში:	ღამით +11;	დღისით +20;

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში:	ღამით +12;	დღისით +21;
მთაში:	ღამით +6;	დღისით +18;

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. ღამით +12; დღისით +21.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

10 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.3469 ლარი
აშშ დოლარი	1	2.155 ლარი
ევრო	1	2.1097 ლარი
რუსული რუბლი	1	0.068 ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— 1996 წელს ვიხდიდი სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ამავე წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით მივლინებით ვიმყოფებოდი ჩერნობილში.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო, რომ ჩამთვალონ ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილედ, რათა ვისარგებლო მათთვის დაწესებული შეღავათებით.

ვასიკო ლომიძე.

— თუ თქვენ მონაწილეობდით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში და არ გაქვთ ამის დამადასტურებელი საბუთი, სტატუსის დასადგენად უნდა მიმართოთ სამხედრო კომისარიატს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

ევროკავშირმა უარი განაცხადა თურქეთის ამ კავშირში შესვლის თაობაზე ლაპარაკზე. კავშირის წევრთა აზრით, თურქეთი არასათანადოდ დემოკრატიული ქვეყანაა და უფრთხიან თურქი მუშების შეჭრას.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ლიმონის სულ რამდენიმე წვეთი არა მხოლოდ კონტრაცეპციის საუკეთესო საშუალებაა, არამედ შეუძლია შიდსის ვირუსის განადგურებაც.

თელ-ავივის გარეუბანში, გეხას გზატკეცილზე ტერორისტი თვითმკვლელის მიერ აფეთქებული ბომბით დაიღუპა ერთი ქალი და დაიჭრა 20 ადამიანი.

„ალ-ყაიდა" ემზადება ავსტრალიაზე დარტყმისათვის. ამის თაობაზე დაკითხვისას განაცხადეს „ალ-ყაიდას" დაპატიმრებულმა მოთარეშეებმა. მათი თქმით, ორი ან სამი ტერორისტი უკვე იმყოფება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

საქართველო კვლავაც ევროპის საბჭოს ყურადღების ცენტრშია

(პირველი გვერდიდან)

„ევროპის საბჭო განიცდის იმ პრობლემებს, რომელთა დაძლევაც უხდება საქართველოს, მათ შორის, განსაკუთრებით, გადაუჭრელ კონფლიქტს აფხაზეთში და რუსეთთან დაძაბულ ურთიერთობას", – განაცხადა კლაუს შუმანმა და აღნიშნა, რომ ევროსაბჭო ყველაფერს იღონებს, რათა ორივე ქვეყანას შესთავაზოს თავისი ტრიბუნა დიალოგისათვის. ამგვარი ძალისხმევა, სტუმრის განმარტებით, განპირობებულია ევროსაბჭოს სპეციფიკით, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ყველა წევრი ქვეყანა მზად უნდა იყოს იკისროს კოლექტიური პასუხისმგებლობა და სხვებთან ერთად საერთო საქმეს ემსახუროს. ამავე პრინციპის გათვალისწინებით, სექტემბერში ევროსაბჭოს სპეციალური საჯარო განხილვის თემად იქცა აფხაზეთის პრობლემაც.

კლაუს შუმანი შეეხო გასულ კვირას ევროპის სასამართლოს მიერ გამოგზავნილ რეკომენდაციას ჩეჩენი ეროვნების პატიმართა უფლებების შესახებ და განაცხადა, რომ საქართველოც და რუსეთიც, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები, ვალდებული არიან დაიცვან ევროპის ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციის მოთხოვნები და მათ შესაბამისად განახორციელონ ყველა სამართლებრივი ღონისძიება. კლაუს შუმანმა აღნიშნა, რომ ევროპის სასამართლო ანალოგიური რეკომენდაციით რუსეთის მხარესაც მიმართავს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმარს მხარდაჭერისათვის, რომელსაც ევროპის საბჭო უწევს საქართველოს. „ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იმ ვალდებულებათა შესრულებაა, რომლებიც ვიკისრეთ ევროსაბჭოში გაერთიანებისას", – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და აღნიშნა, რომ განვითარებად ქვეყნებს ხშირად დაჩქარებული ტემპით უწევთ პრობლემების მოგვარება, რაც ობიექტურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამგვარ უმთავრეს პრობლემად რჩება კონფლიქტი აფხაზეთში, რომლის გადაწყვეტის გზაზე, ევროსაბჭოსა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერის მიუხედავად, სერიოზული შედეგები ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით განაცხადა, რომ კონფლიქტების მიმართ ისეთივე პრინციპული და გლობალური მიდგომაა საჭირო, როგორიც მსოფლიომ დაიკავა ტერორიზმის წინააღმდეგ, რადგან „ნებისმიერი პატარა კონფლიქტიც კი შეიძლება გაღვივდეს და გადაიზარდოს დიდ ხანძარში, რომელიც არაერთ ქვეყანას ჩაითრევს".

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმარს გააცნო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან კიშინიოვში გამართული შეხვედრის შედეგები. მისი განცხადებით, ამ შეხვედრამ ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი, მათ შორის, უწინარესად, ჩეჩნეთთან დაკავშირებულ პრობლემას. „განესაზღვრეთ ამ საკითხში ორივე ქვეყნის პასუხისმგებლობის ხარისხი და შევთანხმდით, რომ მთავარი ამოცანაა საზღვრის დაცვის გაძლიერება. სწორედ ამას ისახავს მიზნად ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის შემადგენელი ნაწილია საზღვრის ერთობლივი პატრულირებაც", – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. მისი თქმით, ამ შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ რუსეთი აღარ მოითხოვს ერთობლივი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა მსხვერპლს, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაში.

შეხვედრაზე განიხილეს ეგრეთ წოდებული თურქი მესხების რეპატრიაციის საკითხიც. აღინიშნა, რომ საქართველო ამ საკითხზე მუშაობს და შეძლებისდაგვარად წარმართავს ამ პროცესს. კლაუს შუმანის განცხადებით, ამ კატეგორიის ადამიანებს უნდა მიეცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება – დაბრუნდნენ საქართველოში თუ თანაბარუფლებიანი მოქალაქეობის პრინციპით იცხოვრონ იქ, სადაც დღემდე ცხოვრობენ. თუმცა, ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოს საზრუნავი არ არის. „საქართველომ იკისრა ვალდებულება, მიიღოს ისინი თავის მოქალაქეებად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ იგია პასუხისმგებელი. ეს ევროსაბჭოს კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხია", – განაცხადა ევროსაბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დირექტორატის დირექტორმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 9 ოქტომბერი — ქ. თბილისი

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში, მსხვილი სამრეწველო, სატრანსპორტო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობასა და დარგის მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი ინტერესების დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

თამაზ აზანიშვილი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „თბილსახავტოგზაპროექტის" მთავარი ინჟინერი; **დავით გუგავა** – ეკონომიკისა და რეფორმების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი; **ადერკინ კოპლატაძე** – ღვაწლმოსილი ინჟინერ-მშენებელი; **თამაზ კოტიშაძე** – სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის" დასავლეთის ფილიალის დირექტორი; **ჯემალ პაპიაშვილი** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქლიფტის" დირექტორი; **ალექსანდრე სინჯიკაშვილი** – ღვაწლმოსილი ინჟინერ-მშენებელი; **ჯონდო ტოგონიძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „თბილსახავტოგზაპროექტის" დირექტორი; **სულიკო ციმინტია** – სააქციო საზოგადოება „პროგრესის" გენერალური დირექტორი; **ამირან ჭადაძე** – სააქციო საზოგადოება „თბილმშენმონტაჟკომპლექსის" გენერალური დირექტორი.

ღირსების მედლით:

იაკობ გურგენიძე – აჭარის არქიტექტურის მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რეგიონული გაერთიანების თავმჯდომარე; **ვახტანგ დავითაშვილი** – სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტის" მთავარი სპეციალისტი, არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე; **ნანა ზამბახიძე** – სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების" პროფკომიტეტის თავმჯდომარე; **ლეო კალანდაძე** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „თბილსახავტოგზაპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი; **უმიანა ლორთქიფანიძე** – სააქციო საზოგადოება „მონოლითმშენის" გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე; **პეტრე როდონაია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „თბილსახავტოგზაპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი; **ომარ ჩხუბიანიშვილი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ცენტრსაქკომუნპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი.

ედუარდ შევარდნაძე.

დაიწყო ორდღიანი კონფერენცია

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მშენებლობის თემაზე ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს ორდღიანი კონფერენცია დაიწყო გუშინ თბილისში სასტუმრო „მარიოტში".

კონფერენციაში გარდა ამერიკელი და ქართველი ბიზნესმენებისა, მონაწილეობენ ორი ქვეყნის პოლიტიკის და ეკონომიკის ანალიტიკოსები, ასევე საქართველოს მთავრობის წევრები, საქართველოში აშშ საელჩოს წარმომადგენლები.

ამერიკელმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა კონფერენციაზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ზოგადად კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანწილად რუსეთის, კერძოდ, ამ ქვეყნის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პოლიტიკა ქმნის, რომელიც იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებს და ძალისხმევას ამ რეგიონთან დაკავშირებით და ცდილობს ამიერკავკასიის ქვეყნებში თავისი გავლენა გააძლიეროს და გააფართოოს.

დამატებით 13 მილიონი ლარი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 13 მილიონ ლარს მიიღებს ქვეყნის საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აცნობა პრაიმ-ნიუსს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ.

სახელმწიფო მინისტრი

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით

ამერიკის ჯორჯიის შტატსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში ბოლო 7 წლის განმავლობაში არსებული ურთიერთობისა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს 10 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალმა დევიდ პოიტრესმა.

როგორც აღინიშნა, 7 წლის ნაყოფიერი სამხედრო თანამშრომლობა ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით კიდევ უფრო გაფართოვდება. კერძოდ, ახლო მომავალში დაგეგმილია საინჟინრო-სამშენებლო სფეროში ურთიერთობის გააქტიურება. ამგვარი ურთიერთობის მაგალითი უკვე არსებობს, კერძოდ, 1997 წელს ამერიკელმა სამხედროებმა ჯორჯიის შტატიდან მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ორი საავადმყოფოსა და ორი უპატრონო ბავშვთა სახლის მშენებლობაში. ამ სახის თანამშრომლობა, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდლის თქმით, მისასალმებელი და ეფექტიანია ორივე მხარისათვის.

დევიდ პოიტრესის განცხადებით, ამერიკული მხარის ინიციატივით, სულ ახლო მომავალში ჯორჯიის შტატში გაემგზავრება და შესაბამის ტრენინგს გაივლის 10 ქართველი ვერტმფრენის მფრინავი. მისივე თქმით, მომავალში ანალოგიურ ტრენინგებზე მიწვეულ ქართველ მფრინავთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაზე, რომელიც სტუმრის შეფასებით, ძალზე წარმატებულად ხორციელდება.

–„წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამამ საქართველოს მოსახლეობას მისცა დამოუკიდებელი ქვეყნის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის იმედი და იმის რწმენა, რომ საქართველოს ახლო მომავალში ძლიერი ჯარი ეყოლება. ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა ჩვენი ამერიკელი მეგობრების დახმარებით, რისთვისაც მადლობას გიხდით თქვენ და ყველას, ვინც ამ პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი,– განუცხადა ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა.

საქინფორმი.

სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელება ხელისუფლების პრიორიტეტია

10 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის დავალებით სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრა ქვეყნის რაიონების გამგებლებთან. შეხვედრაზე, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე უძღვებოდა, განიხილეს ქვეყანაში სოციალური პროგრამების განხორციელების საკითხი.

– ჩვენ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ და თქვენ, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა შევასრულოთ ჩვენი ამომრჩევლების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და ერთობლივად უნდა ვეძებოთ მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრის გზები, – განუცხადა გამგებლებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა. – მოსახლეობისათვის შესაბამისი სოციალური პირობების შექმნა ხომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის" სამოქმედო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. აღნიშნული პოლიტიკის ამ ძირითადი მიმართულების შედეგები კი მოსახლეობამ უკვე უახლოეს მომავალში უნდა იგრძნოს.

სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პროგრამის შესრულების შესახებ შეხვედრაზე ილაპარაკა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ. როგორც მან თქვა, მიმდინარე წელი საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ დამაკმაყოფილებლადაა დაფინანსებული. გაცემულია ივლისის, ამჟამად კი მიმდინარეობს აგვისტოსა და სექტემბრის პენსიების დარიგება. თანდათანობით ინერგება პენსიების ბანკების მიერ გაცემის მექანიზმი, რაც, მინისტრის აზრით, ამ სფეროში კორუფციის აღმოფხვრის შესანიშნავი საშუალებაა.

ასევე საკმაოდ დროულად ხორციელდება სოციალურ დახმარებათა გაცემა. ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, მომავალ წელს სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახთა რიცხვს კიდევ 8 ათასი ოჯახი შეემატება, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, 70 ათასს შეადგენს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 2003 წელს რაიონების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილში სოციალური დახმარებისათვის გათვალისწინებული თანხა გაიზრდება და იგი 10 პროცენტს შეადგენს. სამინისტროს ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა.

მომავალი წლის ბიუჯეტში ორჯერ გაიზრდება ინვალიდების დახმარებისათვის განკუთვნილი თანხაც.

სულ კი, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროსათვის განკუთვნილი თანხა 340 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2002 წელს გათვალისწინებულ თანხას 13 პროცენტით აღემატება.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების ახალი სახელმწიფო სამსახურის ამოქმედებას, რისთვისაც მიმდინარე წლის ნოემბერში საგანგებო კონკურსი გაიმართება. ამ ახალი სამსახურის ამოცანა ქვეყანაში დასაქმების პროგრამების განხორციელება იქნება, რომელთა რიცხვი მომავალ წელს, წლევანდელთან შედარებით, ორჯერ გაიზრდება.

შეხვედრაზე გამგებლებს, სხვა საკითხებთან ერთად, დაევალათ რაიონებში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრების გამართული მუშაობის ხელშეწყობა.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესში ცენტრალური ხელისუფლება მკაცრი და მომთხოვნი იქნება გამგებლების, იმათ მიმართ, ვინც ამა თუ იმ რეგიონში ხელისუფლების შტოს წარმოადგენს.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

ერთობლივი პრესკონფერენცია

10 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ არმენ ხაჩატრიანმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის საპარლამენტო ურთიერთობა ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა და ნაყოფიერი გახდა.

როგორც არმენ ხაჩატრიანმა განაცხადა, სომხეთის, ისევე როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული მიზანია ევროპის დიდ ოჯახში – ევროკავშირში გაერთიანება და ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი ორი ქვეყნის კანონმდებლობების ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაციაა.

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ეხებოდა. როგორც არმენ ხაჩატრიანმა განაცხადა, ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს სომხეთის ეკონომიკის განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რკინიგზის რეაბილიტაციის პრობლემა, უწინარესად, დაკავშირებულია აფხაზეთში კონფლიქტის გადაჭრასთან და ეს პროცესი უნდა დაიწყოს მხოლოდ დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნების პარალელურად.

რაც შეეხება ჯავახეთის რეგიონს, როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ოფიციალური ერევნის პოზიცია მთლიანად ემთხვევა საქართველოს ინტერესებს ამ მხარეში. საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნებაა, რომ ამ რეგიონში სრულად განახორციელოს რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩაბმას გულისხმობს.

პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ და არმენ ხაჩატრიანმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს, რომლებიც, ძირითადად, რკინიგზის, ჯავახეთისა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების საკითხებს ეხებოდა.

საქინფორმი.

კანონმდებლები

პანკისის ხეობაში ნორმალური და დამაიმედებელი ვითარებაა

პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაციის შედეგებზე, იქ არსებულ ვითარებასა და პრობლემებზე იმსჯელეს 10 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე.

კომიტეტის სხდომას ყველა ძალოვანი უწყების პირველი პირები ესწრებოდნენ.

სხდომამ მოისმინა მოსკოვიდან დაბრუნებული უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას ინფორმაცია რუს კოლეგებთან მისი შეხვედრის დროს მიღწეულ შეთანხმებათა შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა სხდომაზე ისაუბრა პანკისის ხეობაში განხორციელებულ ანტიკრიმინალური ოპერაციის შესახებ. მინისტრის ინფორმაციით, ოპერაციაში მონაწილეობდა დაახლოებით ორი ათასამდე კაცი. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებულია 17-მდე ძებნილი, ასევე 40-ზე მეტი ის ძებნილი, რომლებიც პანკისის ხეობას აფარებდა თავს. ამოღებულია დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალები და გატაცებული მანქანები, აგრეთვე დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინუმი, დაკავებული არიან დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები.

როგორც კობა ნარჩემაშვილმა აღნიშნა, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლები სრულიად გაწმენდილია ჩეჩენი ბოევიკებისაგან. უკვე კარგა ხანია დაიწყო პატრულირება პანკისის ხეობაში, რომელსაც შინაგანი ჯარი ახორციელებს ოთხი სხვადასხვა მარშრუტით. მინისტრის განცხადებით, ამჟამად პანკისის ხეობაში ნორმალური და დამაიმედებელი ვითარებაა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ვიდრე იარსებებს რუსეთ-ჩეჩნეთის პრობლემა, ხეობაში შინაგანი ჯარის გარკვეული რაოდენობა უნდა დარჩეს.

სხდომაზე მოკლე ანგარიშით წარსდგა თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე.

კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა, უპირველეს ყოვლისა, დადებითად შეაფასა ძალოვან უწყებათა მიერ გაწეული მუშაობა და აღნიშნა, რომ არსებული შედეგები ხეობაში თავად ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელების მაღალორგანიზებული მუშაობის შედეგია.

სხდომაზე ასევე განიხილეს ძალოვან უწყებათა დაფინანსების საკითხიც. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები უკმაყოფილო არიან ქართული ჯარისა და სასაზღვრო უწყების დაფინანსებით და განაცხადეს, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით საზღვრის დაცვა შეუძლებელია.

საქინფორმი.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ:

მარინე იმერლიშვილი – ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლედ ათი წლის ვადით.

მილერ ხარებავა – კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ ათი წლის ვადით.

საქინფორმი.

ხრიკები დიდ კორუფციაში

მართლა ასე ბნელა?

(პირველი გვერდიდან)

ვინ იცის, ამ ყალბი დოკუმენტებით რამდენი საქმე გაიჩარხა, რამდენი მოტყუვდა ან ამ ყალბ დოკუმენტებზე რამდენმა თვალი განგებ დახუჭა (ასეც ხდება).

აგერ, მივიდა სრულიად ვიღაცა დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციაში, მიიტანა ალექსანდრე ჭურაძის პირადობის მოწმობა, რომელშიც ჩაკრული ჰქონდა საკუთარი სურათი და დაარეგისტრირა ინდივიდუალური საწარმო. ალბათ, ყველა იკითხავს, – რა, ფირმის დარეგისტრირება ასე იოლად, ასე შეუმოწმებლად, სურათზე დაუხედავად ხდებაო? თურმე ხდება. ერთი კი არა, ათობით, ასობით ფაქტია იმისა, როცა ყალბი პირადობის მოწმობებითა და ცრუ პასპორტებით ფირმებსაც აფუძნებენ, კომპანიებსაც, მერე საბიუჯეტო თანხებს ჭამენ, პასუხს კი, ფაქტობრივად, ვერავის სთხოვენ. საინტერესოა, რატომ არ გაამკაცრებენ შესაბამისი ორგანოები დოკუმენტების შემოწმების პროცედურას? რას მივაწეროთ მათი გულუბრყვილობაც და გულგრილობაც? აქ ხომ არ იღებს სათავეს კორუფცია, რომელიც თვალსაც აბრმავებს და ყურსაც აყრუებს? ეჭვები დღითიდღე ძლიერდება...

პოლიციის ცნობით, ისევ სრულიად ვიღაცამ ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციაში მიიტანა მანანა ბაკურაძის გაყალბებული პირადობის მოწმობა და შექმნა ფირმა. ამის შემდეგ გამოიტანა მკაცრი აღრიცხვის 25 კომპლექტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა გამოიყენეს, ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ მოახდინეს და სახელმწიფო 44.685 ლარით აზარალეს.

მოკვლეული მასალები გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

გადაცემა ერთია, ჭეშმარიტების დადგენა კი – მეორე. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მეორე. კერძოდ, გვაინტერესებს ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ყალბ დოკუმენტებს ბრმად იღებენ, საწარმოებსა და ფირმებს არეგისტრირებენ, სახელმწიფო-საფინანსო საბუთებს გასცემენ და ბიუჯეტს აზარალებენ. რა პასუხი მოეთხოვება მათ?

ბონდო გულიაშვილი.

რუსეთთან საზღვრის გასაძლიერებლად...

გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დელეგაცია ეწვია.

ვიზიტის მიზანია საზღვრების გაძლიერებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება. შეხვედრაზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფები მოამზადებენ ოქმის პროექტს, რომელსაც ხელს მოაწერენ ქართული და რუსული მხარეების სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელები ერევანში, სადაც 17-18 ოქტომბერს გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სასაზღვრო ჯარების მორიგი სხდომა.

მომგებიანი ტვირთები – საქართველოს გავლით

საქართველოს გავლით ავღანეთში, ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანა ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით საორიენტაციოდ უკვე ნოემბრიდან დაიწყება.

უკვე შეთანხმებულია ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა აზერბაიჯანთან, კვირის განმავლობაში კი შეთანხმება მიღწეული იქნება თურქმენეთთანაც. ამის შემდეგ სატარიფო პოლიტიკა დონორ ქვეყნებს წარედგინება.

საქართველოს გავლით ტრანზიტი 600-700 კილომეტრით უფრო მოკლეა რუსეთის მიმართულებაზე და ტვირთების გადაზიდვა, შესაბამისად, 10-15 პროცენტით უფრო იაფია.

ავღანეთში ტვირთების ტრანზიტი საქართველოს სერიოზულ შემოსავლებს მოუტანს, რადგან ყოველწლიურად იგეგმება 6-დან 7 მილიონამდე ტონა ტვირთების გადატანა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

აქტუალური თემა

ცალმხრივი კომპრომისი გამორიცხულია

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქციის „ალიანსი ახალ საქართველოსათვის" ლიდერი ირაკლი გოგავა

– ბატონო ირაკლი, კიშინიოვში რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას პოლიტიკოსები საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ და აცხადებენ, მიუხედავად პუტინის მიერ ცოტა ხნით ადრე საქართველოს მისამართით გამოთქმული მუქარისა, ეს შეხვედრა საქართველოს მოსახლეობისთვის პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება. თუმცა, ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი შეთანხმება მომხდარიყო რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის კიშინიოვის სამიტზე, თუ რუსეთს საქართველოსთან კონფრონტაციის სურვილი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ სამიტის გადაწყვეტილება მას ხელს ვერ შეუშლის.

– კიშინიოვის სამიტზე შევარდნაძე-პუტინის შეხვედრისას, ორი ქვეყნის ურთიერთობაში ერთგვარი ნორმალიზების ტენდენცია გამოიკვეთა. ცივი ომი რუსეთ-საქართველოს შორის უნდა დასრულდეს, რასაც ორივე ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს. მე ახლა გამიჭირდება საუბარი ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის ნიუანსებზე, ამ ინფორმაციას, უბრალოდ არავინ არ ფლობს, მაგრამ ერთი უნდა ითქვას: დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა არის აფხაზეთის კონფლიქტის მძევალი. პრობლემა, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს, სწორედ აფხაზეთის პრობლემიდან მოდის. ვიდრე ეს პრობლემა არ გადაწყდება, წარმოუდგენელია სერიოზულ, მეგობრულ ურთიერთობებზე საუბარი.

– ოპონენტების აზრით, ის, რომ რუსეთმა საქართველოში საზღვრის ერთობლივ პატრულირებას მიაღწია, მხოლოდ ცალმხრივი დათმობაა. მათი თქმით, რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ძალებით ანტიტერორისტული პროცესის გაკონტროლება ნიშნავს იმას, რომ რუსული სამხედრო შენაერთები პანკისის ხეობის იმ ნაწილში შემოვლენ, სადაც ტერორისტები ეგულებათ. ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ რუსულ ინტერესებში ჯდება.

– საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში რუსეთის ჩართვას მხარს ვერ დავუჭერ. რუსეთთან მიმართებაში საქართველოსგან ცალმხრივი კომპრომისი გამორიცხულია. დათმობები როგორც აფხაზეთთან, ასევე, სამაჩაბლოსთან დაკავშირებით, რუსეთის მხრიდანაც უნდა განხორციელდეს. ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველომ პრინციპული პოზიცია უნდა შეინარჩუნოს.

– ცნობილია, რომ რუსეთიდან 700-გვერდიანი საქმე გადმოიგზავნა, რომელიც საფუძვლად დაედო ხუთი ჩეჩნის გადაცემას. გენერალური პროკურატურა აცხადებს, რომ მათი გადაცემა კანონიერად მოხდა. მიუხედავად ამისა, ჩეჩნების ექსტრადირებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე პოზიციები გაჩნდა. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანას მათ გამო რუსეთის მხრიდან საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნა. სად ხედავთ გამოსავალს?

– პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადაყვანის შესახებ კონსულტაციები, როგორც ცნობილია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ქვეყანასთან უკვე ჰქონდა, მაგრამ ეს საკმაოდ რთული პროცესია.

მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საქართველომ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო კონვენციებით უნდა იხელმძღვანელოს. საქმე ეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების გადაცემა-ექსტრადირებას, მათ შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის შესწავლას, იდენტიფიცირებას. როგორი რთულიც არ უნდა იყოს პრობლემა, საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სამართლის შესაბამისად უნდა მოიქცეს.

– ბატონო ირაკლი, ახლახან თქვენ პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირების და სადეპუტატო იმუნიტეტის შეზღუდვის ან მოხსნის წინადადება წამოაყენეთ. ეს საკითხი უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული საიდუმლო დოკუმენტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ გახდა აქტუალური. მართალია, დეპუტატები ხმამაღლა აცხადებენ, რომ იმუნიტეტი არაფერში სჭირდებათ, მაგრამ მათ ამ წინადადებაზე, ცოტა არ იყოს, თავი შეიკავეს.

– დიახ, ჩვენ იმუნიტეტის საერთოდ მოხსნას ან შეზღუდვას ვითხოვთ. ამასთან, აუცილებელია პარლამენტის რიცხოვნობის შემცირება, რათა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა უფრო ეფექტიანი გახდეს. უმთავრესი მიზანი, რაც ჩვენ გვამოძრავებს, არის ის, რომ გაისად, საპარლამენტო არჩევნებისთვის, პარლამენტში მოხვედრის ნაკლები შანსი ჰქონდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც შემდეგ საპარლამენტო ტრიბუნას და საპარლამენტო ბერკეტებს საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის გამოიყენებენ.

საქართველოს პარლამენტი მხოლოდ პოლიტიკოსებისგან, დარგთა სპეციალისტებისგან უნდა დაკომპლექტდეს. პარლამენტში ვერ უნდა მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც კრიმინალური ბიზნესის წარმომადგენლები არიან.

ესაუბრა **მზია გელენავა.**

5 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სასამართლო რეფორმის განხორციელებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით შეიქმნა საქართველოს იუსტიციის საბჭო – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო; სწორედ ამ ორგანომ, რომელიც ეფუძნება რა ხელისუფლების განაწილებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპს, თავისი არსებობით – აწ უკვე განვლილი უაღრესად დატვირთული, შინაარსიანი, წინააღმდეგობრივი, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის ხელშემწყობი მოღვაწეობის ხუთწლიანი გზით, ჩაუყარა საფუძველი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განმტკიცებას, სასამართლო ხელისუფლების ჭეშმარიტად დამოუკიდებელ სახელისუფლებო ერთიან შტოდ ჩამოყალიბებას.

იუსტიციის საბჭო ჩვეული ძალისხმევით საზოგადოების მხარდაჭერისა და სახელმწიფოებრივ ნებაზე დაყრდნობით მოსამართლეთა კორპუსთან ერთად კვლავაც ზრუნავს სასამართლოების მიუკერძოებლობის, შეუვალობის, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ულოცავს საქართველოს იუსტიციის საბჭოს საიუბილეო თარიღს და დარწმუნებულია, რომ იუსტიციის საბჭო სამართლებრივი რეფორმის მიმდინარეობაში მომავალშიც აქტიურ როლს შეასრულებს.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 248, პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2002 წელი.

სახელმწიფოებრიობა

წერილი პირველი

ყველაზე უფრო მწვავე

ანუ არის თუ არა საჭირო საქართველოს კონსტიტუციის შეცვლა

ქალაქად ქუჩაში, და სოფლად — ორღობეში მიმავალ ნებისმიერ ჭკუათმყოფელ ადამიანს რომ ჰკითხოთ, რა პრობლემები აწუხებს, ვგონებ, ჩვენი წერილების მკითხველთან ერთად, ყველა ერთსა და იმავეს გიპასუხებთ და მისი ამოცნობა დღეს არავისთვის არ არის ძნელი.

ალბათ, სხვანაირი იქნება ჩვენი პოლიტიკოსების (რა თქმა უნდა, კვლავ ჭკუათმყოფელების) პასუხები ამავე კითხვაზე. თუ არ ვცდები ეს, ალბათ, ქვეყანაში შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას შეეხებოდა. თუმცა, არ უნდა ვიყო მთლად ზუსტი. ამ დღეებში შევიტყვეთ ერთი პარტიის მოსაზრება პარლამენტში ქვეყნის პრეზიდენტის დაგვიანებული წლიური პოლიტიკური მოხსენების კიდევ უფრო მოგვიანებით მოსმენის მიზანშეწონილობის თაობაზე, მათი არგუმენტებიც ცნობილია და შედეგებიც.

ვინც პოლიტიკურ ისტორიას მეტ-ნაკლებად იცნობს, მან კარგად უწყის კონფლიქტებისა და კრიზისების წარმოქმნის, მათი მოგვარებისა თუ ჩაქრობის პერიპეტიებიც. ის, რაც ამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ტრიალებს საქართველოს თავზე ავბედითი ღრუბლების სახით, დღეს და გუშინ არ წარმოშობილა. თუ უფრო შორს არ წავალთ, მათ სულ მცირე, ათწლიანი ისტორია მაინც აქვთ და პირდაპირი შედეგია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა, რომელსაც ბოლო პერიოდში თითქმის ყველანი წარმატებულს ვუწოდებდით.

მაგრამ ვინ თქვა, რომ წარმატებულ პოლიტიკურ კურსს უარყოფითი ფაქტორები არ ახლავს თან. ასე მსჯელობა ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია. სხვა საკითხია, რა გადასწონის, დადებითი თუ არასასიამოვნო. დღეს ამ კურსმა დიდი საფრთხე შეუქმნა ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის უშიშროებას, ხოლო გუშინ მან საქართველო გახლიჩა, იარაღის ძალით ჩამოაგდო კანონიერი ხელისუფლება, მოგვწყვიტა აფხაზეთი და სამაჩაბლო და ასეულათასობით ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად აქცია. მაშინ და დღესაც ეს ანალიზი არავის გაუკეთებია. კი მაგრამ, რატომ, დავიჯერო, არ იყო საჭირო და იმიტომ? ხალხმა, და, განსაკუთრებით, დევნილებმა ეს უბედურება ერთიანი საქართველოსთვის საუკუნო მნიშვნელობის შედეგის მოლოდინში მოითმინეს. და რა ძნელი წარმოსადგენი იყო ყოველივე ეს ამ ცხრა წლის წინ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსისადმი შეურიგებლობა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ამჯერად სიტუაციის ერთხელ კიდევ გამწვავებით დაგვანახა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი და ომისათვის სრულიად მოუმზადებელი ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩაბმის ზღვარზე ყოფნას ნიშნავს.

ბავშვმაც კი იცის, რა მძიმე მორალურ დატვირთვას შეიცავს ტყვე ჩეჩენთა „სასწრაფო“ გადაცემა ჩვენი, უფრო ძლიერი მეზობლებისათვის, რამდენად დამცირებულად ვიგრძენით ყველამ თავი.

გამოცდილი პოლიტიკოსები და პროფესიონალი ისტორიკოსები უფრო საფუძვლიანად დაასაბუთებენ, რომ ამგვარი „კეთილმეზობლობა“, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება და ჩვენი სამშობლოც არაერთხელ დადგება სერიოზული საფრთხის წინაშე. სამწუხაროდ, მმართველები წავლენ და წამოვლენ, მაგრამ მათი სახელმწიფოს ინტერესი საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცისადმი მუდმივად დარჩება, ვის კალთასაც არ უნდა ვიყოთ შეფარებული. საზოგადოება, ვინც ახალ კურსს მხარს უჭერს, ამისათვის მზად უნდა იყოს და წამდაუწუმ პოზიციას არ უნდა იცვლიდეს. ეს ისეთი საქმეა, სადაც „ქიცი და ქიცმაცური“ ერთდროულად არ გამოდის, ბევრი უსიამოვნებისათვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ და, შესაძლოა, ასე იყოს ათეული წლების განმავლობაში. რა ვქნათ, — ასეთი ბედი არგუნა განგებამ საქართველოს...

თუკი ქართული საზოგადოების მიერ მოწონებული (?) ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი ისტორიული არჩევანის შეცვლას ნიშნავს (თუმცა, ღმერთმა იცის, რომ ჩრდილოური ორიენტაცია არასოდეს ყოფილა საქართველოს ათასწლოვან პოლიტიკურ მმართველთა — ბაგრატოვანთა დინასტიის არჩევანი), სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს ჩვენი ახალი მეკავშირეების ძალა და უნარი, აგვაცილონ კარს მომდგარი უბედურება. თუკი აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემას ჩვენდა გასაკვირად დღემდე ვერაფერი მოუხერხეს, ახლა ქართველმა ხალხმა თვალნათლივ უნდა დაინახოს ქვეყნის ახალი ისტორიული არჩევანის (ამჯერად მართლა არჩევანის და, ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიაში ერთადერთის) ხელსაყრელობა საქართველოსთვის, მისი აწმყოსა და მომავლისთვის, თორემ შორეულ მომავალში კომუნიზმის აშენებას ჩვენ მთელი საუკუნე გვპირდებოდნენ. (თუმცა, ხალხში კი ხშირად გაიგონებთ, თურმე კომუნიზმში ვცხოვრობდით, მაგრამ დაგვიმალესო).

ვნახოთ, რას მოგვიტანს უახლოესი კვირეები. ყოველ შემთხვევაში, იმედი უნდა გვქონდეს, რომ მსოფლიოს თვალში არც საკუთარ ავტორიტეტს გაიფუჭებს ვინმე (ჩვენი ქვეყნის დაბომბვის ინიციატორები) და არც საკუთარი მხარდამჭერის მნიშვნელობას შელახავს ვინმე (ახალი მოყვრები). თუ არადა, მაშინ მართლა მთელი სერიოზულობით დადგება დღის წესრიგში ასეთი გამოუსადეგარი პოლიტიკური კურსის შეცვლის საკითხი. მოკავშირემ მოკავშირეობის ძალა სწორედ უმწვავესი საკითხების მოგვარებით უნდა აჩვენოს, უსაგნო დაპირებებით საქმეს ვერ უშველი.

გასულ ზამთარს შემომეხმიანა ბატონი ამირან ქაშაკაშვილი, 1992-95 წლების პარლამენტარი, ჩვენი კავშირის პოლიტმდივანი, მაშინდელი საკონსტიტუციო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე და მთხოვა — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს კონსტიტუციის განხილვას დავსწრებოდი. აღმოჩნდა, რომ ერთ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ცოდნას აშშ პრესტიჟულ უნივერსიტეტში იღრმავებს, გადაუწყვეტია დისერტაციის დაცვა საქართველოს კონსტიტუციაზე. ბუნებრივია, რომ მეცნიერი მკვლევარი საქართველოს კონსტიტუციას მეცნიერულად მიუდგა და სადისერტაციო ნაშრომი ააგო კონსტიტუციის ცალკეულ დებულებათა მიზანშეწონილობის განხილვაზე. ამას ზედ დაერთო საქართველოში კონსტიტუციის მიღების შემდეგ დამკვიდრებული ექვსწლიანი სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზი, და, რომ იტყვიან, „ქვა ქვაზე არ დატოვა“.

იქ შეკრებილ ფრიად საინტერესო აუდიტორიას, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გარდა, ესწრებოდნენ ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები, ჩემს გამოსვლაში საჯაროდ შევპირდი ფედერალისტური ჩანაწერების მსგავსი ესსეების გამოქვეყნებას, რათა ფართო საზოგადოებას მისცემოდა საშუალება, უფრო ღრმად გაერკვეს „ამ მიწაზე ჩვენთვის უზენაესი კანონის“ შინაარსსა და დასახულ მიზნებში, რაზეც თავის დროზე ვფიქრობდით, როცა საქართველოს კონსტიტუციას ვღებულობდით (და არა ნაჩქარევად და დაუფიქრებლად, როგორც ამას ზოგიერთები ამბობენ).

იმედია, ყველას კარგად ახსოვს 2000 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის სესიაზე ჩემი დაბეჯითებითი თხოვნა საქართველოს განათლების მინისტრის მიმართ, რომ სასკოლო პროგრამებში, მაღალი კლასებისათვის, სავალდებულო წესით შემოღებულიყო საქართველოს კონსტიტუციის სწავლება (სამწუხაროდ, ეს თხოვნა ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული).

დაბოლოს, ვფიქრობ, „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები თვალს მაინც გადაავლებდნენ ბატონ არმაზ სანებლიძესთან (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს კონსტიტუცია-ტერაქტების სამიზნე“ — 30.08.02. № 209) დიალოგს ამავე საკითხზე, სადაც მთავარმა რედაქტორმა გამოხატა მზადყოფნა პერიოდულად გამოაქვეყნოს ჩვენი წერილები საქართველოს კონსტიტუციის გარშემო.

დღევანდელი პუბლიკაციით იხსნება ეს ციკლი. მკითხველ საზოგადოებას ეძლევა შანსი, თავისუფლად გამოეხმაუროს აქ წამოჭრილ პრობლემებს, რომელიც სულაც არ არის უკამათო და ავტორსაც ამ მხრივ რაიმე ამბიცია არა აქვს. პირიქით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამით სიამოვნებას მომანიჭებთ. ჩემი მხრიდან შევეცდები არც ერთი თქვენი შენიშვნა თუ წინადადება არ დავტოვო უყურადღებოდ და პასუხგაუცემლად, საჭიროების მიხედვით, ან ღია პრესაში, ან პირადი წერილებით. ცხადია, რედაქციას უნდა ვთხოვოთ დახმარება ამ მხრივ.

თავიდანვე მხოლოდ ერთს ვიტყვი, რაზეც თავის დროზე სახელმწიფო უნივერსიტეტშიც განვაცხადე: კონსტიტუცია არ არის ერთი ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის მეცნიერული ნაშრომი. თუ მას ასე შევხედავთ ყოველთვის, შევცდებით. **არც კი ვიცი, მსოფლიოში არის კი სადმე პრაქტიკა, რომ რომელიმე ქვეყნის კონსტიტუცია მეცნიერული სიზუსტის თვალსაზრისით შეეფასებინოთ.**

ლექსი

შენ და მე

(უგვანოთა გამო)

არც იცი, საიდანა ხარ,
საზამთრო ხარ თუ ნესვი,
ეშმაკებიდან მოდიხარ,
შენ ეშმაკი ხარ, გესმის?

არ გიცხოვრია ქართული
ადათითა და წესით,
არც იცი, ღარიბ მეგობარს,
როგორ გაუყო ხემსი.

აქლემის ქურდო, არასდროს
არ მომიპარავს ნემსიც,
მე რომ ლიანდაგს ვეძახი,
შენ ის გგონია „რელსი“.

მე საიდანაც მოვდივარ,
ვარ იქაური ლექსი,
მე იქაურად ვმღერი და,
მე იქაურად ვკვნესი.

იქაური მაქვს თუთუნიც,
აბედიცა და კვესიც,
ეს საქართველო ჩემია,
ჩემი მომკის და თესვის.

იცოდე, საიდანაც ხარ,
იქედან მოგდევს გესლი,
შენ თუმცა ტყვიის ღირსი ხარ,
ტყვიას მაინც არ გესვრი.

შენ როცა იწყევლებოდი,
მე ყანწი ლოცვით შევსვი,
ლაგალის კოშკში ზეიმობს,
ჩემი სისხლი და ფესვი.

სურმუშის წყაროებიდან
მოჰქუხს ეს ჩემი ლექსი,
მე თბილისელი ბიჭი ვარ,
მე ვერაფერი შემცვლის.



სუყველა კუთხე ჩემია,
მე ყველა კუთხის მესმის,
ვიდრე ეს საქართველოა,
მაჩვენეთ უკეთესი.

ჯანსუღ ჩარკვიანი.
7 ოქტომბერი, 2002 წ.

გვწერენ

უფალი განსჯის

(პირველი გვერდიდან)

გაზეთები („რეზონანსი“, „ალია“, „ქრონიკა“) წერენ, რომ „იგი (ამირან გოგიჩაიშვილი) სკანდალში „ირანული ქვის“ დამსახურებით აღმოჩნდა, საქმე ის არის, რომ სამების საკათედრო ტაძრის მოპირკეთებას თავდაპირველად ირანიდან შემოტანილი ქვით აპირებდნენ, მერე კი ამირან გოგიჩაიშვილის თქმით, ვითარება შეიცვალა და მისი ძალისხმევით არჩევანი ქართულ ქვაზე გაკეთდა... გოგიჩაიშვილი პატრიარქს არწმუნებს ქართული ქვის უპირატესობაში“. — რაც მტკნარი სიცრუეა. რადგან გოგიჩაიშვილი ამ საკითხზე სასაუბროდ პატრიარქს 2000 წელს შეხვდა, ხოლო ტაძრის ბოლნისის ტუფით მოპირკეთება ჯერ კიდევ 10 წლის წინათ იყო გადაწყვეტილი. 1990 წელს, როცა არჩილ მინდიაშვილის პროექტმა 110 პროექტს შორის გაიმარჯვა, აღწერილობის პასპორტში აღნიშნული იყო, რომ ტაძრის პერანგი ბოლნისის ტუფით უნდა შესრულებულიყო. ვიმეორებთ, 1990 წელს, როცა პროექტი აირჩიეს, ავტორს გადაწყვეტილი ჰქონდა ტაძრის პერანგის ტუფით შესრულება და ის, თუ რისთვის სჭირდება გოგიჩაიშვილს ასეთი განცხადებების გაკეთება, რითაც იგი აშკარად ითვისებს ავტორის ჩანაფიქრს და იჭრება შემოქმედებითი ჯგუფის ფუნქციებში, ჩვენთვის გაუგებარი და მეტი რომ არ ვთქვათ, შეურაცხმყოფელია.

უფრო მეტიც, 1996 წლის 29 იანვარს, როცა ტაძრის საძირკველშიც კი არ იყო ბეტონი ჩასხმული, საპატრიარქოს დარბაზში, სადაც იმართებოდა ფონდისა და საზოგადოების შეხვედრები, განსახილველად გამოფენილი იყო მომავალი ტაძრის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალის ნიმუშები, კანკელისა და ორნამენტების წინასწარი ნახაზები. ხოლო 20 თებერვალს ამ საკითხებზე მომუშავე 5 ჯგუფი შეიქმნა და კორდინაცია პროექტის ავტორს დაევალა. (იხ. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2, 1996 წ.).

ან როგორ შეიძლება, გოგიჩაიშვილმა თავს უფლება მისცეს და თქვას, პატრიარქი მე დავარწმუნე ქართული ქვის უპირატესობაში, როცა ისტორიას არ ახსოვს, რომელიმე ქართული ტაძრის პერანგი უცხოური ქვით შესრულებულიყოს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაძრის მშენებლობის ზოგიერთი დეტალი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია; საავტორო ჯგუფის აზრით, აუცილებელია ამ დიდებული ტაძრის შიდა მოპირკეთებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ულამაზესი მოსაპირკეთებელი ქვების გამოყენება. ვაცხადებთ იმასაც, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა, საპატრიარქოსთან შეთანხმებით, თავიდან ბოლომდე არის ჩვენი — საავტორო ჯგუფის პრეროგატივა და ჩვენი უფლების შელახვას არავის და არც ვინმე გოგიჩაიშვილს ვაპატიებთ, მით უმეტეს, რომ საავტორო უფლებებს ჩვენს ქვეყანაში კანონი იცავს.

მასმედიის იმ წარმომადგენლებს კი, რომლებიც შეიძლება ასე უბრალოდ მოატყუოს ამირან გოგიჩაიშვილმა, ვურჩევთ, ვიდრე გოგიჩაიშვილის თქმებს ავტორიტეტად მოიტანდნენ, ზრდილობისათვის მაინც გაგვესაუბრონ ჩვენ, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, შემდეგ კი ჰკითხონ ამირან გოგიჩაიშვილს, რატომ ისაკუთრებს იგი ავტორთა შემოქმედებას, ან რატომ შემოგვთავაზა მოსაპირკეთებლად არარსებული გრანიტის საბადოს პროდუქცია და, საერთოდ, რა უნდა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდისა და მისი თავმჯდომარისაგან, რომელთა დისკრედიტაციასაც მასმედიაში ასე გულმოდგინედ ცდილობს და უარგუმენტო ლანძღვისა და მორალური ტერორის კამპანიას ახალ-ახალი პუბლიკაციებით აგრძელებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საავტორო ჯგუფის წევრები კატეგორიულად მოვითხოვთ ამირან გოგიჩაიშვილისა და მისი „აპეკუნებისაგან“, ბოდიში მოუხადონ საზოგადოებას, რომელიც შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში და იმასაც შევახსენებთ, რომ მტყუანს და მართალს ყველაზე უკეთ თავად უფალი განსჯის.

არჩილ მინდიაშვილი,
პროექტის ავტორი, მთავარი არქიტექტორი;
ემზარ კიზირია,
მთავარი ინჟინერი;
ზურაბ ოქროშიძე,
მთავარი კონსტრუქტორი.

P. S. დაინტერესებულ პირებს ყოველ სამშაბათს 16 საათზე ვიწვევთ ელიას მთაზე, პირდაპირ ტაძრის მშენებლობაზე, მათთვის საინტერესო საკითხების განხილვისათვის.

ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე

ესსეისტური ჩანაწერები

ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ დღეს მოქმედი კონსტიტუციებიდან ყველაზე ძველის — აშშ კონსტიტუციის მიღების პერიპეტიები (ამ საკითხს ჩვენ სხვადასხვა კონტექსტში ბევრჯერ დავუბრუნდებით). ცნობილია, რომ მრავალთვიანი დებატების შემდეგ გუბერნატორ მორისის კომისიამ 1787 წლის 17 სექტემბერს საკონსტიტუციო კონვენტს ხელმოსაწერად წარუდგინა აშშ კონსტიტუციის საბოლოო ვერსია. ამ დოკუმენტით უკმაყოფილო დელეგატების ერთმა ჯგუფმა საერთოდ დატოვა კონვენტი. სამმა დელეგატმა, შემდგომ უკვე მსოფლიოში ცნობილმა მოღვაწემ, უარი განაცხადა ხელის მოწერაზე. კონვენტის 55 დელეგატიდან მხოლოდ 39-მა მოაწერა ხელი ისტორიაში უპრეცედენტო პოლიტიკურ აქტს და მათ შორისაც პრაქტიკულად არც ერთი არ იყო ამით კმაყოფილი. მათი განწყობილება კარგად ჩანს დელეგატთა შორის ყველაზე მხცოვანი მეცნიერის, დიპლომატის, მწერლისა და პოლიტიკოსის ბენჯამინ ფრენკლინის ნათქვამიდან — „ამ კონსტიტუციაში არის ზოგიერთი ადგილი, რომელსაც მე დღეს არ ვეთანხმები, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ მე მათ არასოდეს მოვიწონებ“. ხელის მოწერის შემდეგ კი თქვა: „უკეთესს არ ველოდები და თან ვფიქრობ — ეს ხომ არ არის ის საუკეთესო“. მასვე ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები — „შესაძლო საუკეთესო კომპრომისი“. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება — ამას ამბობს სახელგანთქმული „დემოკრატიის მამა“, — რომელიც აშშ კონსტიტუციას მიიჩნევდა ნიმუშად სხვა ქვეყნებისათვის. ისტორიულად ასეც მოხდა — ათობით ქვეყანაში მეტნაკლები სიზუსტით გაიმეორეს კიდეც ამ კონსტიტუციის ძირითადი დებულებები და ქვეყნის მოწყობის მოდელი.

ოდნავ მოგვიანებით კონვენტის დელეგატებს თომას ჯეფერსონმა „ნახევრად-ღმერთები“ უწოდა ჯონ ადამსისადმი გაგზავნილ წერილში (ორივე აშშ მომავალი პრეზიდენტი).

ისევე, როგორც ყველგან, საქართველოს კონსტიტუციაც, უპირველეს ყოვლისა, გონივრული პოლიტიკური კომპრომისის შედეგია, რომელსაც ჩვენ მაშინდელ პარლამენტში მივაღწიეთ; სადაც იმ დროისათვის ქვეყანაში მეტნაკლებად ყველაზე გავლენიანი 26 პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები (ცხადია, 1991-92 წლების მოვლენების შემდეგ დევნილი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და მათი მხარდამჭერების გამოკლებით), აგრეთვე, ქვეყნის 70-მდე რაიონიდან და ქალაქიდან მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები იყვნენ წარმოდგენილი. მთავარია, შესრულდა მიზანი — მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპები. ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებში ჩვენ არავითარი კომპრომისი არ დავუშვით და მოწინააღმდეგეთა გაავებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დაწყებული 1995 წლის 9 აგვისტოდან 24 აგვისტომდე, მთლიანად მივიღეთ ძირითადი კანონის ყველა მუხლი. თან 69-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ძირეული ცვლილებები შევიტანეთ ყველა, ადრე მიღებულ მუხლებშიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მძაფრი დისკუსიებისა და შეთანხმებელი კომისიების პრაქტიკულად სადღეღამისო მუშაობის შედეგად არ ყოფილა შემთხვევა, წინასწარ განხილულ დებულებებს კენჭისყრის შედეგად მიეღოთ 157 ხმაზე ნაკლები. ასეთი რამ, დამერწმუნებით, პოლიტიკაში საერთოდ იშვიათად ხდება.

იმის თქმაც არის საჭირო, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად სწორედ მაშინ შეიქმნა სასურველი წანამძღვრები საერთო ეროვნული თანხმობის მისაღწევად! რაოდენ დასანანია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს პროცესს ლოგიკური გაგრძელება შემდგომ პერიოდში არ მოჰყვა. უფრო მეტიც, ერთიანი კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს გაერთიანებისათვის საერთო-ეროვნული თანხმობის მიღწევის იდეა დისკრედიტებულ იქნა და დაიყვანეს ხელისუფლებისაგან გამდგარი ცალკეული შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან შერიგებამდე, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, კრახით დამთავრდა და ვერაფერი უშველა ჩვენს საერთო სატკივარს.

> **„საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას“.**
> **(საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა)**

მკითხველს მინდა ვთხოვო პატიება კონსტიტუციის გარშემო წერილების ლოგიკური თანმიმდევრობიდან ერთგვარი გადახვევის გამო, რომელიც დღეს ქვეყანაში შექმნილი ვითარებით არის ნაკარნახევი. არ არის შემთხვევითი, რომ წინამდებარე წერილიც ასეა დასათაურებული — „ყველაზე უფრო მწვავე, ანუ არის თუ არა საჭირო კონსტიტუციის შეცვლა“.

ეს საკითხი რომ ძალზე მწვავეა, ალბათ, ყველანი დამეთანხმებით, იმ წრეგადასული დისკუსიების ფონზე, რომლის მოწმენიც ბოლო პერიოდში ვართ. ამას დაუმატეთ პარლამენტში სახელმწიფო კანცელარიიდან შესული და, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი, რომელიც ძირითადში მინისტრთა კაბინეტის შექმნას ითვალისწინებდა. პოლიტიკური კონიუნქტურისა და რეალური შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრ რამეს შემდეგ მოეფინა ნათელი და ცხადი გახდა, თუ რისთვის გაკეთდა ყოველივე, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, განვაცხადო, — **ვითარების განსამუხტავად კონსტიტუციური ცვლილებებით მანიპულირება სახიფათო თამაშია, და მეტად საშიშ პრეცედენტებს ქმნის ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. ასეთი ცვლილებები კონსტიტუციაში საერთოდ კონსტიტუციისა და სახელმწიფო წყობილების შეცვლის ტოლფასია:** თუ რამდენიც გაჭირდება იმდენჯერ ქვეყნის მეთაური და სხვა უფლებამოსილი სუბიექტები პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებისა და წყობილების შეცვლის ინიციატივით შევიდნენ ქვეყნის მდგრადი, მყარი განვითარების გარანტირების ფუნქციიდან არაფერი დარჩება და საქართველოს კონსტიტუცია სპეკულაციური ვაჭრობისა და ბინძური გარიგებების საგნად იქცევა. ისევე, როგორც ეს ამჯერად მოხდა.

დამეთანხმებით, ეს მართლაც საშიშია და ძალზე ჰგავს ტალეირან-მაკიაველურ მიდგომას — „მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია“. ასეთი ფაქტები მომავალში ტრადიციად არ გვექცეს და საქართველო არ ჩაეფლოს მინისტრთა კაბინეტის ხან შემოღების ხან გაუქმების საკონსტიტუციო ცვლილებათა „ფერხულში“.

არ გვინდა გამოგვრჩეს ერთი სავსებით ბუნებრივი შენიშვნაც — კი მაგრამ კონსტიტუციაში მინისტრთა კაბინეტის შემოღება ხომ საპრეზიდენტო მმართველობის შენარჩუნებას ითვალისწინებს და რატომ უნდა მივიჩნიოთ ეს ფაქტი კონსტიტუციის შეცვლად, მით უფრო წყობილების შეცვლად? სამწუხაროდ, ეს ნამდვილად ასეა და აქ სიტყვების თამაში საქმის ჭეშმარიტ შინაარსს ვერ დამალავს. **— ძირეულად იცვლება კონსტიტუციის 69-ე მუხლი და აქედან გამომდინარე, ძირეულად იცვლება ფუნდამენტური მნიშვნელობის უფლება-მოსილებანი ხელისუფლების სამივე შტოსათვის (წერილებში ამ საკითხსაც ცალკე შევეხებით). რაც მთავარია, იცვლება „სამოქალაქო კოდექსი“, ჩვენთან ბოლო წლებში მიღებული ყველა ორგანული კანონი, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის გასაერთიანებლად სამომავლოდ აუცილებლად მისაღებ პრინციპებზე, რომელიც ჰაერშია გამოკიდებული და, არავინ იცის რა პრინციპულ ცვლილებებს მოგვთხოვს.** საქართველოს გაერთიანების სანუკვარი მიზნის მიღწევისათვის ამ პროცესში აფხაზი და ოსი ხალხის მონაწილეობისათვის იქნებ საჭირო გახდეს კონსტიტუციის მე-3 თავის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო დღემდე არ არის მიღებული. იგულისხმება დღევანდელ კონსტიტუციაში არსებული მე-3 თავის წინ, ანუ მე-2 თავის შემდეგ ახალი თავი. ასეთ მსხვერპლზე წასასვლელად ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. **მაშინ დღეს ვის ეჩქარება ასეთი ცალმხრივი კონსტიტუციური ცვლილება, თუ არა იმას, ვინც დიდი ხანია ხელი ჩაიქნია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემომტკიცებაზე.**

კიდევ შეიძლებოდა სხვა არგუმენტების მოხმობაც, მაგრამ ეს სამომავლოდ გავაკეთოთ.

ზემოთ ნათქვამიდან კარგად ჩანს, ჩვენს ქვეყანაში არსებული სირთულეების გათვალისწინებით რამდენად სათუთად უნდა მივუდგეთ ამ საქმეს, რომ საბოლოოდ მოიხსნას ყოველგვარი ბუნდოვანება და მოსახლეობამ გაიგოს რასთან გვაქვს საქმე, როცა კონსტიტუციას ესხმიან თავს.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია კონსტიტუციის იმ დებულებების კომენტირება, რომელთა ურყევად დაცვამ (დიდი ხანი ველოდეთ, მაგრამ ეს სხვამ არავინ იკისრა) ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში შექმნილი სირთულეების მშვიდობიან მოგვარებას. იქნებ უფრო ზუსტად ითქვას — **ამ წერილის მიზანია დაიცვას ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები, რომელზეც დგას ქვეყნის სახელმწიფო წყობილების შეუვალობა და დამსახურებულად მიუზღას იმ უსაფუძვლო თავდასხმებს, რომელსაც განიცდის საქართველოს კონსტიტუცია უკანასკნელ პერიოდში და რომელმაც სათანადო რეაგირების დაგვიანების ან საერთოდ, უპასუხობის გამო მეტად საშიში მასშტაბები მიიღო.**

სწორედ ეს მიგვაჩნია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე საკითხად. იქნებ ვცდებით, მაგრამ დაე მკითხველმა თავად განსაჯოს!

საქმე ის არის, რომ ოპონენტები (უფრო რბილ გამოთქმას ვერ ვპოულობ) დამოუკიდებელი საქართველოს საძირკვლის გამოთხრას შეუდგნენ და ამით შეგნებულად თუ შეუგნებლად მისი სიმკვიდრის, მისი სიმყარის მორღვევას უწყობენ ხელს.

ძირითადი თავდასხმის საგანია საქართველოს სახელმწიფო წყობილება და კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული ნორმების საფუძველზე განვლილი შვიდი წლის განმავლობაში შექმნილი საკანონმდებლო-იურიდიული ბაზა. მიზანი კი ძალზე მარტივი — ქვეყნის ჩათრევა პრაქტიკულად ახალი კონსტიტუციის მიღების კამპანიაში და ამის კვალობაზე ყველაფრის ისევ თავიდან დაწყება. მართალი გითხრათ, თავდაპირველად ჩვენ ეს მორიგი თამაში გვეგონა, ვინაიდან ვერ წარმოგვედგინა შესაძლებლად ასეთ მარტივ ავანტიურაზე წამოგება. კარგად არის ცნობილი, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ასეთ, უკაცრავად პასუხია „თამაშს“ დანაშაულის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. იქნებ თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ამ წინადადებებში წყობილების კი არა, სისტემის შეცვლაზეა საუბარი. ვერ ვიტყვით, რომელ გულუბრყვილო მსმენელმკითხველზეა ეს გათვლილი, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცით — **ასეთ დროს პროფესიონალების, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა „მორცხვი“ სიჩუმე დანაშაულის ხელის შეწყობას უდრის.**

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენი ქვეყნის მტერი ამას თავისი ხელით არასოდეს გააკეთებს, ეს უფრო „ჩვენებური უგუნური მოყვრების“ მიერ მოფიქრებულ მორიგ სიბრიყვეს ჰგავს, რადგან, მართლაც რომ, „არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

მე პატიებას ვითხოვ იმათგან, ვინც შეცდომაშია შეყვანილი და დღეს შექმნილი უკიდურესად ცუდი მდგომარეობის მიზეზად არსებული სისტემა წარმოუდგენია, ან ის, ვინც კარგად იცის საქართველოს ცხოვრება XX საუკუნის 80-იან წლებში და მას ახლანდელ ყოფას უდარებს.

ამ ადამიანებთან არათუ დავას არ ვაპირებ, არც კი ვიცი ბოდიში რა სიტყვებით მოვუხადო, რადგან ამ წლებში კარგა ხანს გახლდით უმაღლეს ხელისუფლებაში და ხშირად ვერ შევძელი უგუნურ სტიქიას წინ აღვდგომოდი, თუმცა, ღმერთმა იცის, ცდა არ დამიკლია.

ბატონ არმაზ სანებლიძესთან საუბარში აღნიშნულ პრობლემებს ერთგვარად უკვე შევეხეთ, მაგრამ, ალბათ, გახსოვთ, ძირითადი დრო ამ დიალოგში 1995 წლის აგვისტოს მოვლენებმა დაიკავა და თან უფრო ტერაქტების სერიალის მიზეზების ახსნის კუთხით. მართალია, დიალოგისას რამდენჯერმე ვცადე ამ თემიდან გადახვევა, მაგრამ გამოცდილმა ჟურნალისტმა მაინც თავის გეგმაში მომაქცია: არც ვნანობ. ვფიქრობ, რომ ბევრი რამ საინტერესო კუთხით გაშუქდა და მკითხველმაც ზოგიერთი ფაქტის შესახებ პირველად შეიტყო.

გასაგებია, რომ წინამდებარე წერილებში საქმე გვექნება არა მემუარული ხასიათის ნარკვევთან, **არამედ ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემასთან — საქართველოს გარშემო დატრიალებულ მეტად საშიშ მოვლენებთან, რომელიც ძალზე ჰგავს XX საუკუნის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილ რამდენიმე კრიტიკულ სიტუაციას, რომელიც ყოველთვის ჩვენთვის ტრაგიკული შედეგით დამთავრდა.**

რა იყო ამის მიზეზები მაშინ და რა უნდა გავითვალისწინოთ დღეს? — აი კითხვები, რომლებიც აწუხებს ჩვენს სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყოველ ქართველ კაცს, რომელიც დამოუკიდებელი, განვითარებადი, სოციალურად და ეკონომიკურად პროგრესირებადი, მშვიდობიანი საქართველოთია სისხლხორცეულად დაინტერესებული.

ბაქურ გულუა.
(გაგრძელება იქნება).

ბრძანებულება

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და დამტკიცდა თეატრის დებულება.

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის საქმიანობას სახელმწიფოებრივად გააკონტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 2003 და შემდეგ წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის ხარჯთა ნუსხის მიხედვით განსაზღვროს თეატრისთვის საჭირო ასიგნებანი (მათ შორის: სადადგმო, საგასტროლო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის) და იგი ბიუჯეტში კულტურის სამინისტროს ასიგნებათა ფარგლებში გამოყოს ცალკე სტრიქონად.

საქინფორმი.

გვეხმაურებიან

როცა შენობის ფასადს არღვევენ

„საქართველოს რესპუბლიკის“ 24 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ქ. შარტავას ქუჩის № 4 და № 6 კოოპერატიული თექვსმეტსართულიანი სახლების მობინადრეთა წერილი, რომელიც შეეხებოდა მოქალაქე გ. მერკვილაძის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო, რომ მერკვილაძემ დაანგრია შენობის მზიდი კედელი, ჯერ გამოჭრა ფანჯარა, შემდეგ გადააკეთა კარებად და აკეთებს აივანს.

ამ დარღვევების თაობაზე ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ აცნობა ქალაქის „არქმშენკონტროლის“ სამსახურს და რაიონის პოლიციის სამმართველოს. ამასთან, მოქალაქეებს განემარტათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (იგი ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან), მრავალბინიან სახლებში მცხოვრებმა მობინადრეებმა უნდა აირჩიონ ამხანაგობა, მისი თავმჯდომარე და მიანიჭონ მას სასამართლოში ამხანაგობის სახელით მოქმედების უფლება, მათ შორის, ისეთ საკითხებში, როდესაც ბინის მესაკუთრე არღვევს ფასადს, ან აზიანებს შენობის კონსტრუქციებს.

დავით სულაძე,
ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი.

დოკუმენტი

ისტორიული მხარის შემდგომი აღორძინებისათვის

დამტკიცდა სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა 2002-2005 წლების გეგმა

ბოლო პერიოდში საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და პოლიტიკური სტაბილურობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაწეული მუშაობის მიუხედავად, ადმინისტრაციულ ერთეულებში წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს ქმნის.

აღნიშნული ვითარება დღის წესრიგში აყენებს სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმისა და მისი რეალიზაციის მიზნით თითოეული საბიუჯეტო წლისათვის შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას მხარის განვითარების ყველა ასპექტის, მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედების გათვალისწინებით.

სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად დამტკიცდა სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა 2002-2005 წლების გეგმა.

საქართველოს სამინისტროებმა და სხვა ცენტრალურმა უწყებებმა სამცხე-ჯავახეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად უნდა გასწიონ კონკრეტული მუშაობა გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას თითოეული რაიონის თავისებურებათა, ინტერესებისა და კონკრეტულ პრობლემათა გათვალისწინებით; მათ ასევე უნდა უზრუნველყონ ეკონომიკური რეფორმების დაჩქარება, მეწარმეობის განვითარება, მოსახლეობის დასაქმებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მხარის მდიდარი ბუნებრივი რესურსების სრულად და ეფექტიანად გამოყენება, ხელი შეუწყონ საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებას, მხარის განსაკუთრებულ თავისებურებათა გათვალისწინებით შიდა და გარე ურთიერთობათა განვითარება-გაღრმავებას, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, გარემოს დაცვას, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენასა და შენარჩუნებას; მათვე უნდა განსაზღვრონ და მოიძიონ დაფინანსების შესაძლო წყაროები არსებული პრობლემების გადასაწყვეტად ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების მეშვეობით.

საქართველოს პროკურატურას, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს დაევალათ შესაბამის რეგიონულ სამსახურებთან ერთად ხელი შეუწყონ ღონისძიებათა გეგმის ეფექტიანი რეალიზაციისათვის სამცხე-ჯავახეთში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, მკვეთრად გააძლიერონ ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე მხარეში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის დროული და სწორი ინფორმირებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალა გაზეთ „ერასტანის“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის 2003 წლის ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



ელგუჯა მაღრაძე (ხელმოწერა)

საავტორო გვერდი

— ჩვენ არ გვინდა ცივი ომი და არც ცხელი ომი — ცივი გვინდა საცივი და ცხელი გვინდა ღომი!

ამბობს პოეტი, მაგრამ სჯერათ პოლიტიკოსებს?

სახელოვანი მზოგლები

„ნიკო, ფრანკები შემომაკლდა“, — შესჩიოდა ექვთიმე თაყაიშვილი ნიკო კეცხოველს

ჩვენ საოჯახო ალბომებს ვათვალიერებთ, გაზეთისთვის შესაფერ სურათს ვეძებთ.

— გამძარცვა ჩემმა მამიდაშვილმა სანდრო მამასახლისმა, მგონი, ალბომს ამზადებს მამაჩემის შესახებ და რაც კარგი სურათები იყო, სულ იმან წაიღო, — წუხს ქალბატონი ელისო, — ერთ-ერთი ქალიშვილი დიდი ნიკო კეცხოველისა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბოტანიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ბოლოს, აქვე რომ ვბეჭდავთ, ის შევარჩიეთ — მამა-შვილი — ნიკო და ელისო კეცხოველები ბუნების წიაღში.

— სულ ბუნებაში არ ვიყავით?.. სულ ერთად არ ვიყავით ექსპედიციებში? ყველა ბალახისა და ყვავილის სახელი იცოდა... მახსოვს, პირველად რომ აგვიყვანა მთელი ოჯახი ბებრის ციხეზე და დაწვრილებით მოგვიყვა მცხეთის ისტორია...

— ნიკო კეცხოველი, ჭეშმარიტად ჩვენი საამაყო წინაპრების ნასხლეტი იყო — მათი მოდგმის, მათი ჯიშისა... სამი ქალიშვილის პატრონს, არასდროს დაუჩივლია, ღმერთმა ვაჟი რომ არ მისცა?..

— ხმამაღლა არასდროს უთქვამს... რას იზამთ... სამაგიეროდ, სიძეები შეხვდნენ ერთიმეორეზე უკეთესი — ჩემი მეუღლე თენგიზ ონიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანია... დიდი მეგობრობა ჰქონდათ, როდესაც მამა უნივერსიტეტის რექტორობიდან გაათავისუფლეს, სულიერად ძალიან გაუჭირდა და თენგიზმა გადაატანინა ყოველივე...

ჩინებული პიროვნება და მეცნიერი იყო თენგიზ ბერიშვილი — მზისთვალას მეუღლე (თვითონ მზისთვალა ხელოვნებათმცოდნეა), აკადემიკოსი დავით შენგელია გაგიგიათ, ალბათ, იგი დალის მეუღლეა, კაცური კაცია (თვითონ დალი გეოლოგია)... შეიძლება თქმა, ერთი ოჯახი ვართ, ჰოდა, მამას ძალიან ახარებდა ეს სიახლოვე... გიჟდებოდა შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე... გულჯიბით ატარებდა, მაგალითად, შვილთაშვილის — ეკას სურათს. ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ უფროსის ეს „აქილევსის ქუსლი“ და საბჭოს სხდომებზე თუ რომელიმე საკითხი „დამძიმდებოდა“, ეშმაკურად ჩაურთავდნენ ხოლმე — ბატონო ნიკო, ეკუნა როგორ არის?.. ისიც გაიბადრებოდა და, მორჩა...

ნიკუშა რომ წამოიზარდა — თავისი სეხნია ერთთავად ექსპედიციებში დაჰყავდა, მთელი საქართველო შემოატარა...

— არადა, თითქოს გოროზი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა... როგორი იყო შინ?

— გოროზი?.. უფრო გულკეთილი ადამიანი, მგონი, ქვეყანაზე არ დადიოდა... ქალიშვილები პრობლემებს არ ვუქმნიდით, კარგად ვსწავლობდით, კარგი მეგობრები გვყავდნენ... ჩვენს სახლში, მცხეთის ქუჩაზე, უამრავი ხალხი ირეოდა... ომის დროს ახლობლებისა და ნათესავების ბავშვები — ცხრა ბავშვი შევიფარეთ, წარმოგიდგენიათ? მოვლა ხომ უნდოდათ... მერე, ჩვენი ბებიებიც ჩვენსა ცხოვრობდნენ... გაწამაწიაში იყო დედაჩემი — ციხისთავის ქალი — ღვთისნიერი ადამიანი...

სულ ორჯერ ვნახე მამა ატირებული, ერთხელ, როდესაც დედა გარდაეცვალა და ერთხელაც რკინიგზის სადგურში, ბიძაჩემი — ლუკა ციხისთავი რომ ჩამოჰყვა მატარებელს ოცწლიანი გადასახლებიდან...

— ქალბატონო ელისო, ცნობილია, რომ ბატონი ნიკო იყო დიდი მეცნიერი, მამულის დიდი მოჭირნახულე, პიროვნება, რომლის მსგავსი საუკუნეში თითო-ოროლა თუ გაუჩნდება ერს და ქვეყანას, „მკერდში დაჭრილი ბუნების“ ავტორმა პირველმა დაარისხა განგაშის ზარები ეკოლოგიური საფრთხის შესახებ... იგი იყო გამორჩეული საბავშვო მწერალი და რუსთაველის პრემიაც კი დაიმსახურა ამ ჟანრში... მაგრამ ცალკე თემაა ნიკო კეცხოველი — ჩვენი დედაუნივერსიტეტის ლეგენდარული რექტორი...



— ჰქონდა თავისი უცნაურობები, მაგრამ მის მოქმედებას ყოველთვის სიკეთე ახლდა... ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩვენგან პირველ გამოცდას იბარებს, შედის ორი გოგონა — ჩემი მეგობრები, რომელთაც რუსული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. ვერ პასუხობენ. საშინლად შეწუხდა მამა. დამატებითი სესიის დრო რომ დადგა, მეუბნება, შენმა ამხანაგებმა აი, ეს საკითხები მოამზადონ და მოვიდნენო. გოგონებს, ცხადია, ისედაც ჰქონდათ მომზადებული საგანი. ორთავეს ხუთიანები დაუწერა.

წესად ჰქონდა — პირველ სექტემბერს საზეიმო ვითარებაში თვითონ გადასცემდა ხოლმე სტუდბილეთს ახალჩარიცხულებს. ერთხელაც, ამ რიტუალს რომ მორჩა, ხედავს, ერთი ბიჭი კედელს მოწყენილი მიყრდნობია. რა მოგივიდაო, ეკითხება. ვერ ჩავირიცხე, ქულა დამაკლდაო, სადაური ხარო, თუშიო... აილო და ჩარიცხა ის ბიჭი. კარგა ხნის შემდეგ, მამა წერილს იღებს სამხრეთ პოლუსიდან: მე ესა და ეს ბიჭი ვარო, ოკეანოლოგი გამოვედიო, თქვენ რომ არა, დღესაც ცხვარში ვიქნებოდი თუშეთშიო...

ყოველ ახალ წელიწადს მოდიოდნენ ხოლმე „პირველსხივველები“ ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ძმები ჭილაძეები, ტარიელ კვანჭილაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე...

ახალ წელს ულოცავდნენ ოჯახს, თავიანთ საყვარელ რექტორს, იკრიბებოდნენ „ჩიჩილაკის“ გარშემო, სიხალისე იდგა ირგვლივ.

დიდი მეგობრობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან. როდესაც ბატონი ექვთიმე პარიზიდან დაბრუნდა, ძალიან უჭირდა... მამა ეხმარებოდა, რაც შეეძლო, თანაც ისე, რომ „ზემოთ“ არავის გაეგო... დარეკავდა ხოლმე ბატონი ექვთიმე და სევდანარევი ხუმრობით შესჩივლებდა — „ნიკო, ფრანკები შემომაკლდა“... მამაც გაუტანდა ფულს...

— საინტერესოა, როდის მუშაობდა?

— ღამით. ოჯახი რომ იძინებდა, მერე. თუ სტატიას წერდა, მეორე დღეს აუცილებლად წააკითხებდა თენგიზს, მისი აზრი აინტერესებდა, მის შენიშვნებს იზიარებდა...

ზაფხულობით, ყველანი რომ გავიკრიფებოდით ქალაქიდან, მაშინ მუშაობდა ძალზე ნაყოფიერად... ჩვენ სვანეთში გვიყვარდა ხოლმე ზაფხულის გატარება. ამოგვაკითხავდა, ამოიტანდა უამრავ ხორაგს, ნაირნაირ ხილს... ქალაქში ჩამოსვლის თარიღს რომ შევატყობინებდით, ტრასაზე გველოდებოდა თბილისის შემოსასვლელთან, შევიდოდით შინ და მისი ხელით გაწყობილი სუფრა გვხვდებოდა...

— ტყვიავში, მამაპაპეულში თუ ჩადიოდა?

— რა თქმა უნდა, იქ ბიძაჩემი — ლევან კეცხოველი ცხოვრობდა. მთავრობის დადგენილებით ტყვიავში ლადო კეცხოველის (ნიკოს პაპის ძმის) მუზეუმი გაიხსნა, მაგრამ ამ ბოლო წლებში მუზეუმი გაუქმდა, გაიძარცვა... ახლა გორის გამგებელს კეთილი საქმე გადაუწყვეტია — ეს სახლი დაუბრუნდეს კეცხოველებს და გადაკეთდეს საგვარეულო მუზეუმად. ძალიან მონდომებულია ბიძაჩემის ვაჟი — ისიც ნიკო კეცხოველი — და ვნახოთ... დიდი გვარი იყო, არ გესწავლებათ...

ძეგლი ცოცხალი წინაპარია

სნოს ციხე.

ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი.

სატირა(ლი) ლექსად

„ახალი“ თბილისის სურათები



ქუჩის ხმაურს შევერიე,
თითქოს შევიჭერი ომში,
ძელსკამიდან მესალმება
ჩემი მეზობელი „ბომჟი“.
უჩუქნიათ ბიჭებს ნესვი
(ხილს ყიდიან კახელები),
„პახმელიაზეა“ „ბომჟი“ –
ითქვლიფება გახელებით.
აგერ ქალი – ბავშვიანი,
მათხოვარი – „შტატიანი“,
თავის მოჭრა – დღევანდელი
საქართველოს მატიანის.
ხელში ვუდებ ოცთეთრიანს,
თითქოს მხსნელად ვევლინები,
აქვე დგანან – პურს ყიდიან
სოხუმელი დევნილები.
ეს დევნილი ქუჩაშია,
ის დევნილი მეტროშია,
ხილი ტროტუარზე ბზინავს,
ბოსტნეული ვედროშია.
უცებ მეტროს ვაგონს ავსებს
მოჩხაკუნე ხმა ფანდურის
და გალობა გოგო-ბიჭის –
ხალხში სევდად გაფანტული:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორნები ესეოდა
დაფლეთილი ჭქონდა გული“.
... პრესას ყიდის „მწიგნობარი“
გუშინდელი ჩინოვნიკი,
სამწვადესთან ყაყანია,
იქვე უდგათ ღვინო – ტიკით.
არ გვაკლია შამაია,
ლუდები და სარდელები,
რაღას ვუცდით,
ბარემ გავხსნათ
ლეგალური ბარდელები...
ჩვენ ხომ ევროპელები ვართ,
თანაც, ვითომ, ქართველები.
„თავი მტკივა, გული მტკივა“,
მკვნესარებდა საიათნოვა,
ის, რაც იყო, ძმაკაცებო,
წავიდა და აღარ მოვა.
ვხედავ, როგორ იზლაზნება
მახათაზე დილის ბური
და ღმერთს შევთხოვ –
დააბრუნოს
ის სილაღე – თბილისური.

სამოცდაათის „სამოციანელები“



საკონტროლო წერა თავისუფალ თემაზე: „ჩემი ტარიელ ჭანტურია“

რუსთაველის ტარიელივით მხარბეჭიანი ვერ არის ჩემი ტარიელ ჭანტურია, ტანმორჩილია, მაგრამ სხარტი, ახლაც, სამოცდაათი წლისა, ჩქარი ნაბიჯით მოუყვება ხოლმე ქუჩას. ჩამოივლის რედაქციასთან, „დაგვეზრასტება“, გაგვეხუმრება, იქნებ, ახალი ანეკდოტიც გვიამბოს, ღიმილით დაგვემშვიდობება და ხვალის იმედს დაგვიტოვებს.

ჩემი გმირი გურულია — ხალისიანი (იქნებ, თავს გვაჩვენებს ასე), ენაკვიმატი, როგორც იტყვიან, ჯანსაღი იუმორით სავსე...

არადა, მის ბავშვობას (მთელი მისი თაობის ბავშვობას) სევდა ახლდა თან, სიცივე, შიმშილი ახლდა. სევდიანია ამ თემაზე შექმნილი მისი ლექსებიც.

დედა — გაცრეცილ მკერდზე
დედის ნაჩუქარ ბროშით!
მამა — მედროშედ ყოფნის
დროს მიღებული დროშით! —
ორდენით წითელ დროშის!
თანაც — ჭრილობით ათით!
მე რა ვარ, მაგრამ რაც ვარ —
მხოლოდ და მხოლოდ მათით!

ანდა:

გარეთ ქარბუქი არხევდა ჭადრებს,
მინებზე ზამთარს ხატავდა რთვილი,
დედა წვებოდა ყველაზე ადრე,
რომ მე ლოგინი მქონოდა თბილი.

... და მუდამ, როცა
მერცხლები წავლენ,
ყოველთვის, როცა
ფიფქები მოვლენ,
გულო! რამხელა მოწყენას ავლენ,
გულო! რამხელა სინანულს ავლენ,
მე ეს სიცივე მაგონებს დედას,
დედის ჭაღარას მაგონებს თოვლი...

ობლობასა და გაჭირვებაში ნაწრთობმა ამ თაობამ სამოციანი წლების დასაწყისში (სხვათა შორის, მთელს საბჭოეთში) ერთიანად „შეაჯანჯღარა“ ტოტალურ რეჟიმსა და ცენზურას დამორჩილებული (ზოგიერთი ბედნიერი გამონაკლისის გარდა) „მამათა“ აზროვნება და თავისი რეფორმატორული სულისკვეთებით (განსაკუთრებით მწერლობასა და სახვით ხელოვნებაში), შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა. მე აქ ახლა აღარ ჩამოვთვლი საქართველოში ამ „ოქროს თაობის“ წარმომადგენლებს, ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ ჩემი ტარიელ ჭანტურია ამ თაობის ერთ-ერთი გამორჩეული კაცია, თვითმყოფადი, ბრწყინვალე პოეტია.

ამას ადასტურებს ცნობილი კრიტიკოსი **გიორგი გაჩეჩილაძე**. აი, რას წერს იგი ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაზე: **„ტარიელის პოეზიაზე ორი წერილი მაქვს გამოქვეყნებული: „მდინარების საპირისპიროდ“ და „პოეტი დუელანტი“. იგი ნოვატორი პოეტია, პოეზიის ტრადიციულ მდინარებას კი არ მიჰყვება ლაღად, არამედ აღმა მიცურავს, ქანცგაწყვეტამდე ირჯება... ძნელია აღმა მკლავის მოსმა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიამაყისა და სულიერი ამაღლების მომგვრელია. ტარიელს სიტყვა ჰყავს დუელში გამოწვეული, ნიღაბი ჩამოხადა სტანდარტულ, გაცვეთილ, მნიშვნელობაამოწურულ სიტყვას და მისი პაროდირების გზას დაადგა. მკითხველისათვის, რომლის ყურთასმენა და გემოვნება ჩამოყალიბებული იყო ტრადიციებზე, ეს ყოველივე დამაბნეველია. მის პოეზიას უფრო მეტად ის აფასებს, ვინც გრძნობს ტარიელ ჭანტურიას მიერ მოწოდებული განწყობის, ემოციის კავშირს კრიზისულ დროსთან. ამიტომ, მისი ენაკვიმატობა ენამოსწრებულობის, ანდა გონებამახვილობის ფორმა კი არ არის, არამედ — მსოფლმხედველობის ნიშანი. აი, მთავარი თვისება, რომლითაც იგი გამოირჩევა აღმამცურავი პოეტების მცირე რაზმისაგან. მთელი მისი პოეზია იმის ცდაა, ექსპერიმენტია, რომ დაუბრუნოს სიტყვას რეალური მნიშვნელობა, დაანახვოს მკითხველს სიტყვის ნამდვილი, უნიღბო სახე. არ უნდა შეაშინოს მკითხველი იმან, რომ ამ ცდას ტარიელის ლექსში მინიჭებული აქვს თამაშის, გართობის, სილაღის ფორმა. ამ ლაღობის უკან ხომ ცხოვრების უღრმესი შრეები და საიდუმლოებების გაშიფვრის უსერიოზულესი წადილი იმალება“.**

ეს „გართობის, სილაღის ფორმა“, ცხადია, ძვირად უჯდებოდა ჩემს გმირს. მახსოვს, რა ამბავში იყო ოფიციოზი (ნუღა დავასახელებთ ავტორთა გვარებს), რა კავშირი აქვს ამ ლაზღანდარობას პოეზიასთანო... ტარიელი კი „უბერავდა“, თავის არაჩვეულებრივ პოეტურ სამყაროს ამკვიდრებდა.

ტვისტი, და ტვისტი. ჰალი-გალი!
ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი,
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
როკი და როკი. ჰალი-გალი!
— ხომ არ გეშინია?
— მეშინია!
— რატომ გეშინია?
— მეშინია!
— კიდევ გეშინია?
— მეშინია!
— გესმის? გერშვინია!
— გერშვინია!
— კონიაკს დალევ?
— მანგოს წვენს!
— უნდა გაკოცო!
— მაკოცე!
— შენ არ მაკოცებ?
— მე არა!
— მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!..

მისი ნიჭის უკიდეგანობას რომ ვერაფერი მოუხერხეს, არცთუ დიდი ხნის წინათ, იმაზე ატეხეს ერთი ამბავი, ტარიელ ჭანტურია კარგ რითმას, კარგი რითმის ძებნას სწირავს ლექსის შინაარსსო... გენიალური რითმის (ჩემი აზრით) — **„ნოსტელ გიორგის ნოსტალგია“** — ავტორი, რითმას ლექსში, მართლაც, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, „თავისი“ რითმაც უამრავი აქვს აქა-იქ გაბნეული, ოღონდ, არამც და არამც, შინაარსის დაკნინების ხარჯზე.

მწარედ ეღიმება ტარიელს:

მიჩვეული ვარ შექებას,
მიჩვეული ვარ ძაგებას,
მიჩვეული ვარ მოგებას,
მიჩვეული ვარ წაგებას.

მოგება-წაგებაზე გამახსენდა: ჩემი გმირის აზარტულ ბუნებას, შიგადაშიგ, არც პოკერის თამაში ეუცხოება მეგობართა წრეში და არც კაზინოს მაცდუნებელი გარემო.

ვაგებ და ვაგებ, გულში
ალბათ მეძახის სულელს.
ვაგებ და ვაგებ. ვაკვირდები
ხელმარჯვე შულერს,
საით გააქრო ვარსკვლავები —
მეხუთეს ვაგებ.
ხან ერთი ქრება, ხან მეორე.
მიშრება ბაგე.

ტარიელ ჭანტურიას მთელ შემოქმედებას რეფრენად გასდევს **სიყვარული** სამშობლოსადმი, წინაპრებისადმი, მეგობრებისადმი, მშვენიერი ქალისადმი...

აკი, ერთ-ერთ კრებულს „სიყვარული-რეფრენი“ დაარქვა კიდეც პოეტმა.

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს
რუსთავს და ზადენს:
ზადენს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

სიყვარული სიცოცხლის მარადიული თანამგზავრია, სიყვარული სასჯელის უმაღლესი ზომაა — თვლის ტარიელ ჭანტურია და მადლიერია ღმერთისა, რომ ეს სასჯელი დააკისრა.

ჩემი გმირის დაბადების დღე — სამოცდაათი წლისთავი — სამი თვის წინათ, გაგანია ზაფხულში — 11 ივლისს იყო. არ ისურვა აღნიშვნა, დაბადების დღე ტარიელმა საავადმყოფოში — უფროსი მეგობრის მურმან ლებანიძის საწოლთან გაატარა... ეს არც არის გასაკვირი ასეთი ჩანაწერის ავტორისაგან: **„ლევ ნიკოლოზის ძეს 70 წელი შეუსრულდა. საწოლშივე მივულოცე. მასაც შეფერებული ჰქონდა იუბილარობა. მთელი ოჯახი შეიყარა — ცოლებით, ბავშვებით... ჩამოვიდნენ სტუმრებიც... დაახლოებით ორმოცმა კაცმა ვისადილეთ... ლ. ნ. დილიდან „აღდგომას“ წერდა და კმაყოფილი იყო თავისი ამდღევანდელი შრომით.**

ასამდე დეპეშა მოვიდა სულ სხვადასხვა ხალხისგან.

ვახშმობისას კიდევ შემოგვემატნენ სტუმრები, და ყველაფერი მიდიოდა ისევ ოჯახურად, უბრალოდ და გულდიად“.

ეს სტრიქონები გენიალური მწერლის მეუღლის დღიურიდანაა. რა საინტერესო და თითქმის დაუჯერებელი ამბავია: თავის სამოცდაათი წლის დღეს ლევ ტოლსტოი ხიზილალასა და არაყზე, მზისა და ქამაყზე კი არ ფიქრობდა თურმე, არამედ... კატია მასლოვაზე — იჯდა და წერდა „აღდგომას“. ახლა სამოცდაათი წლის ტოლსტოის სტუმართა რიცხვიც შეუდარეთ ბარემ თანამედროვე იუბილარების — სამოცდაათწლიანთა — სტუმრების რიცხვს! — როგორ გაიზარდა მასშტაბები! — ტოლსტოი რას მოვა ჩვენთან!

აი, ტოლსტოის კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელსაც ჩვენ არაფრის გულისათვის არ „დავისწავლით“... (ტარიელ ჭანტურია — დინოზავრიდან დიზაინამდე).

ხოლო, 20 წლის წინათ, თავისი დაბადების 50 წლისთავზე, ასეთ რამეს წერს იგი საიუბილეო ასაკზე:

„არ არსებობს 50 წლის პოეტი!
არსებობს, უბრალოდ — პოეტი — კაცობრიობის ხნის!
წარსულისა და მომავლის ჯამი — აი, მისი ჭეშმარიტული ასაკი!
მე ვესალმები ზაურ ბოლქვაძეს, გივი გეგეჭკორს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ოთარ ჭილაძეს, ვახტანგ ჯავახაძეს არა იმიტომ, რომ ისინი 50 წლისანი შესრულდნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ნამდვილი პოეტები არიან და, მაშასადამე, ორმოცდაათზე ბევრად მეტისანიც არიან და ბევრად ნაკლებისანიც. ჩვენ რომ სმა ვიცით, ისეთი სმის წინააღმდეგი არავინაა. ამიტომ ვიღებ მე ახლა ხელში ქართული ღვინით სავსე ქართულ ჯამს და ვადღეგრძელებ მერხის მეგობრებს ზაურ ბოლქვაძეს, გივი გეგეჭკორს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ოთარ ჭილაძეს, ვახტანგ ჯავახაძეს!
ვუდღეგრძელებ საქართველოს!
ოჯახებს!
წიგნებს!
ძმაკაცებს!
იმ ძმაკაცებში მეც ვურევივარ! — მეც კაცობრიობის ხნისა და ზაურ ბოლქვაძის ხნისა ვარ, გივის ხნისა ვარ, ჯანსუღის ხნისა ვარ, ოთარის ხნისა ვარ, ვახტანგის ხნისა ვარ!“

ვერ დავითანხმე ინტერვიუზე, თავი დამანებე, თუ ძმა ხარო, ამიტომ, ეს წერილი, ალბათ, სიურპრიზიც კი იქნება მისთვის. როგორ მიიღებს ამ სიურპრიზს ჩემი „მკრიტიკობელა“ უფროსი მეგობარი? რა ნიშანს დამიწერს საკონტროლო წერაში? უახლოვდება კი ეს პორტრეტი თავის „ავტოპორტრეტს“?

საქართველოს მესიტყვე ვარ!
მისი მონა, მისი ტყვე ვარ!
შორი გზიდან ჩამოსულმა
მის კალთაზე ვიცი მთხვევა!
ვარ ქართველი, ვარ პოეტი,
ვარ ტარიელ ჭანტურია,
ყველაფერზე, ზოგზოგივით,
თავი არ მიკანტურია!

თუკი მოეწონა, ვიცი, აუცილებლად, თავის ახლადგამოცემული ლექსების კრებულს მისახსოვრებს.

აბა, ვნახოთ.

დღეს, ხვალ, ზეგ: „ლე-ლო!.. ლე-ლო!..“ „სა-ქარ-თვე-ლო!..“

№ 248, პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2002 წელი.

„შემოდგომის თბილისი"

მუსიკით თქმული აღსარება

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისის" პირველმა ოთხმა კონცერტმა ისეთი წარმატებით ჩაიარა, რომ ის სერიოზულ სტიმულად იქცა ფესტივალის მთავარი გმირებისთვის — თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და ვახტანგ კახიძისთვის, რომლის ხელდასხმითაც მსმენელები მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამების ოსტატური და თავისთავადი ინტერპრეტაციების მოსმენით ტკბობამ მოიცვა. ეს სასიამოვნო იმპულსები „შემოდგომის თბილისის" შემდგომ ეტაპსაც გადაეცა ესტაფეტასავით.

ვახტანგ კახიძის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაცია სტრავინსკის „კურთხეული გაზაფხული" იყო, რომელიც 22 სექტემბერს მოისმინა აუდიტორიამ და რომლის გამო ოვაცია დაიმსახურეს დირიჟორმა და ორკესტრმა. მაშინ წარმოჩნდა, რომ ვახტანგს საინტერესოდ, თვითმყოფადად აქვს შეცნობილი სტრავინსკისეული სამყარო, მისი რთული და მრავალფეროვანი მელოდიური, რიტმული, ინტონაციური, თემატური, დრამატურგიული სფერო, იდეურ-მხატვრული და კონცეპტუალური ხვეულები. და მაინც, ეს სტრავინსკია — „ათასერთი სტილის ადამიანი", „კომპოზიტორი — ქამელეონი", „მუსიკალური მოდების კანონმდებელი", — რომლის ხელწერა, შემოქმედებითი მანერა მუდმივად ცვალებადი განზომილება იყო.



ამიტომაც დიდი ინტერესით მოელოდა აუდიტორია 29 სექტემბრის კონცერტს, რომლის პროგრამაში იგორ სტრავინსკის კიდევ ორი ურთიერთგანსხვავებული თხზულება იყო შეტანილი, და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მოლოდინი გამართლდა — სტრავინსკის მუსიკა კვლავაც მომხიბლავად აჟღერდა. სწორედ ასე შესრულდა „ფსალმუნთა სიმფონია". ყოველი ფსალმუნი ერთგვარი ლირიკული მონოლოგია, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ემოციურ მდგომარეობას, რომელთა დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. თვით სტრავინსკი წერდა: „ფსალმუნები პოემებია ქებისა, თუმცა, ასევე, რისხვის, განკითხვისა და დაწყევლისაც კი". აქედანაც მომდინარეობს „ფსალმუნთა სიმფონიის" ჟანრულ-სტილისტური მრავალფეროვნება, რომელიც საუკეთესოდ განასხეულეს თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა და საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ (სამხატვრო ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი) ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

ჩინებულად შესრულებულ „ფსალმუნთა სიმფონიას" სტრავინსკის კიდევ ერთი ნაწარმოები მოჰყვა — სიუიტა ბალეტიდან „ფასკუნჯი", — კომპოზიტორის ერთ-ერთი პირველი მსხვილი თხზულება, რომელშიც იმთავითვე მკვეთრად წარმოჩნდა კომპოზიტორის უშრეტი კოლორიტული ფანტაზია. ვახტანგ კახიძეს კარგად ჰქონდა გააზრებული „ფასკუნჯის" ტემბრული დრამატურგიის თავისებურებანი და შესაბამისად, სასიამოვნოდ წარმოისახა „ფასკუნჯის" ფერადოვანი ზღაპრულ-ფერიული სამყარო.

კონცერტის მეორე განყოფილებაც მეოცე საუკუნის ჰანგს დაეთმო — თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ბიჭუნათა გუნდის ხუთმა სოლისტმა, მომღერლებმა ნაირა ნაჩხატაშვილმა და თამაზ ცერიაშვილმა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით შეასრულეს „კეთილი მეზღაპრის" — კარლ ორფის სცენური კანტატა „კარმინა ბურანა". მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სცენაზე გაცოცხლდა დინამიური რელიეფის სიმწყობრითა და დრამატურგიული სისრულით, თეატრალური ფერადოვნებით გამოკვეთილი ქმნილების სილამაზისა და სინათლის ჰიმნები. განსაკუთრებულად მკვეთრი იყო გროტესკულ-კომიკური სფერო. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კოლექტივებისა და მუსიკოსების შესრულებით „კარმინა ბურანა" გამოცემულია კომპაქტდისკის სახით. მაშინ იმ შესრულებას ჯანსუღ კახიძე დირიჟორობდა და მშვენიერი ჩანაწერიც გამოვიდა და მაინც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფონზეც კი, ვახტანგ კახიძის ინტერპრეტაცია მიმზიდველი და ეფექტური იყო. კიდევ ერთხელ ლამაზად განსხეულდა ამ ნაწარმოების დედააზრი — „ადამიანის, უფრო ზუსტად, ადამიანთა მოდგმის ტრიუმფი". ფეხზეშემართული მსმენელების ხანგრძლივმა ოვაციამ „აიძულა" მუსიკოსები ბისზე გაემეორებინათ „კარმინა ბურანას" დასკვნითი ეპიზოდი. 29 სექტემბრის საღამო კიდევ ერთ წარმატებად იქცა მეათე „შემოდგომის თბილისის" მატიანეში.

საინტერესო არქიტექტონიკა ჰქონდა 1 ოქტომბრის კონცერტს — რაველის „ესპანური რაფსოდია", ჰაიდნის ორი სავიოლონჩელო კონცერტი, რაველის „ბოლერო".

სიმკვეთრითა და სიმწყობრით გამოირჩეოდა საშემსრულებლო მანერა, რომლითაც ააჟღერა თბილისის სიმფონიურმა ორკესტმა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით „ესპანური რაფსოდია". ორკესტრის მიერ შექმნილმა მუსიკალურ სახეებავთა მრავალფეროვანმა გამამ მშვენივრად წარმოაჩინა ნაწარმოებისთვის სახასიათო იმპრესიონისტული მრავალფერადი ფერწერულობა. ნამდვილად გადამდები იყო აუდიტორიისთვის სცენიდან მომავალი საცეკვაო სტიქიის ძალმოსილება.

ამ საღამოს ქართველ მსმენელთა წინაშე კიდევ ერთხელ წარსდგა ცნობილი ვიოლონჩელისტი გარი ჰოფმანი, — დიახ, კიდევ ერთხელ, რადგან იგი ორი წლის წინათ გავიცანით „შემოდგომის თბილისზე". გარი ჰოფმანმა საერთაშორისო აღიარება მას შემდეგ მოიპოვა, რაც 1986 წელს პარიზში როსტროპოვიჩის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პირველ ჩრდილოეთ ამერიკელ გამარჯვებულად იქცა. იმ პერიოდიდან გარი ჰოფმანი აქტიურად თანამშრომლობს ჩიკაგოს, ლონდონის, მონრეალის, ტორონტოს, სან ფრანცისკოს, ბალტიმორის, ვაშინგტონის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჰოლანდიის სიმფონიურ ორკესტრებთან, სხვადასხვა კამერულ ანსამბლებთან. იგი სხვადასხვა პრესტიჟული მუსიკალური ფესტივალების ხშირი და სასურველი შემოქმედებითი სტუმარია. მის გამოსვლებს დირიჟორობენ როსტროპოვიჩი, ნაგანო, ლივაინი და სხვა გამოჩენილი დირიჟორები. გარი ჰოფმანის ჩანაწერები გამოცემულია არაერთი ავტორიტეტული ხმისჩამწერი სტუდიის მიერ. „გარი ჰოფმანი ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ვიოლონჩელისტია. მისი საშემსრულებლო სტილი გამოირჩევა ტექნიკური დახვეწილობით, ბგერის სილამაზითა და განსაკუთრებული პოეტური გრძნობადობით, — წერია „შემოდგომის თბილისის" ბუკლეტში. ამ შეფასების სიზუსტე კი ფესტივალის აუდიტორიამ ირწმუნა ჰაიდნის ორი სავიოლონჩელო კონცერტის შესრულებისას. გარი ჰოფმანისა და ვახტანგ კახიძის ძალისხმევით მაღალოსტატურად, რაფინირებული გემოვნებით გადმოიცა კლასიციზმისთვის სპეციფიკური, ჰაიდნისეული ხასიათებისა და გაწყობების კონტრასტული სპექტრი — მეოცნებე ჩაფიქრებულობიდან, მოხდენილი გრაციოზულობიდან, გულწრფელი იუმორიდან, ცეცხლოვანებითა და სიკაშკაშით აღბეჭდილ საზეიმო აღმაფრენამდე.

როგორც აღვნიშნე, კონცერტის დასასრულს თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ვახტანგ კახიძის დირიჟორობით შეასრულა მსოფლიო სიმფონიური რეპერტუარის ერთ-ერთი სწორუპოვარი მშვენება, სერგეი პროკოფიევის თქმით, — „საკომპოზიტორო ოსტატობის საოცრება" — რაველის „ბოლერო", ნაწარმოები, რომელზეც თავად ავტორი ამბობდა — „არ არსებობს კარგად გაორკესტრებული მუსიკა, არსებობს მხოლოდ კარგად შექმნილი მუსიკა". მახსოვს, ხუთი წლის წინათ, როდესაც „შემოდგომის თბილისზე" შედგა ვახტანგ კახიძის დებიუტი სადირიჟორო ამპლუაში, კონცერტის ბოლო ნომრად სწორედ „ბოლერო" აჟღერდა. მაშინაც გამოვეხმაურე კონცერტს და ამ ნაწარმოების შესრულება ასე შევაფასე: „ვახტანგ კახიძის ელვარე ინტერპრეტაციაში ჰარმონიულად იყო გაჯერებული ნაწარმოების დრამატიზმი და კოლორისტული სიმდიდრე, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია. სწორედ ეს არის თხზულების განსაკუთრებული ზეგავლენის საიდუმლო. დირიჟორმა ეს საიდუმლო ამოიცნო და ჟღერადობის ბრწყინვალებასაც მიაღწია". „ბოლეროს" შესრულება ამჯერადაც დიდებული იყო და მისმა ცეცხლოვანმა ხატებამ აღაფრთოვანა აუდიტორია.

ფესტივალის მომდევნო კონცერტი 3 ოქტომბერს გაიმართა და ის მთლიანად ჩაიკოვსკის მუსიკას დაეთმო. უზარმაზარი ექსპრესიული ძალის მქონე ინსტრუმენტული დრამა — მეოთხე სიმფონია ერთ-ერთი ურთულესი პარტიტურაა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ვახტანგ კახიძემ და თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა ღირსეულად ააჟღერეს ეს ქმნილება და კიდევ ერთხელ ცხადად გამოავლინეს საკუთარი შესაძლებლობანი. ადამიანისა და ბედისწერის ტრაგიკული ანტითეზა, ურთიერთობა ადამიანსა და მის გარემომცველ სინამდვილეს შორის იქცა ჩაიკოვსკისთვის ამ სიმფონიაში ხორცშესხმის ობიექტად. აქედან მომდინარეებს მუსიკის ღრმა ფსიქოლოგიზმი. ვახტანგ კახიძეს კარგად ჰქონდა გააზრებული სიმფონიის კონცეფცია, რომელიც განვითარების რთული და ფსიქოლოგიურ — ემოციურად დატვირთული გზაა სასოწარკვეთილებიდან — სიცოცხლის ზეობამდე, ფატუმზე პიროვნების ამაღლებამდე.

მეორე განყოფილებამ კვლავაც გამახსენა ხუთი წლის წინანდელი შთაბეჭდილებები მიღებული იმ კონცერტზე, რომელზეც ზემოთაც მოგახსენეთ და აი, რატომ — მაშინაც და ახლაც ჩაიკოვსკის — „ბგერათა ჭეშმარიტი პოეტის", როგორც კომპოზიტორს ეძახდა ჰანს ფონ ბიულოვი, — პირველი საფორტეპიანო კონცერტი აწ უკვე ნაცადმა ტანდემმა — ალექსანდრე კორსანტიამ და ვახტანგ კახიძემ შეასრულა. გავკადნიერდები და ჩემსავე მაშინდელ შეფასებას მოვიშველიებ, მხოლოდ ერთს დავძენ, — წლებმა ვერაფერი დააკლო მათ ახალგაზრდულ სისხლსავსეობას, სამაგიეროდ ახალ, მაღალ საფეხურზე გადაინაცვლა ოსტატობამ, სამყაროს ხედვამ, — „სოლისტმა და ორკესტრა ჩაიკოვსკის კონცერტის აზრობრივ-ემოციური სამყაროს ღრმა გააზრებით გადმოსცეს ნაწარმოების მუსიკალურ-სახეობრივი წყობა, რომელიც განპირობებულია ლირიკული და ჟანრული სფეროების ურთიერთშეღწევადობით.

ალექსანდრე კორსანტიას შემოქმედებით ხელწერას გამოარჩევდა ბგერითი პალიტრის გულუხვობა, რაც სრულ შესაბამისობაში მოექცა ნაწარმოების ფაქტურულ ბრწყინვალებასა და დეკორაციულ ფერადოვნებასთან. მის ინტერპრეტაციაში აღნაგობის მონუმენტური მასიურობა გულწრფელ ლირიზმს შეუთავსდა, რამაც მუსიკალურ სახეებს მეტი სიხალასე და სიმკვეთრე შესძინა. ნაწარმოების ასეთ მაღალ დონეზე შესრულებას დიდად შეუწყო ხელი ვახტანგ კახიძის ინტონაციურ, კომპოზიციურ, ფაქტურულ, ინსტრუმენტულ სფეროებში ღრმა წვდომამ. კონცერტის მართლაც ბრწყინვალე შესრულების დასტური იყო ბისზე მისი მესამე ნაწილის გამეორება". დიახ, ამჯერადაც აღმატებული, მე ვიტყოდი, — ბრწყინვალე, ელვარე იყო ალექსანდრე კორსანტიასა და ვახტანგ კახიძის ტანდემი, — ისინი და მათთან ერთად, ცხადია, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები უშურველად გაიხარჯნენ, რათა მსმენელები აღეფრთოვანებინათ და მიზანს საუცხოოდ მიაღწიეს და მაშინდელი „სცენარი" განმეორდა — ბისზე ისევ კონცერტის მესამე ნაწილი შესრულდა. აუდიტორიის სხვაგვარი რეაქცია წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან ამ კონცერტის ინტერპრეტაცია სრულიად განსხვავებული იყო ჩვეული და ცნობილი ვერსიებისგან, უამრავი სიახლე შეინიშნებოდა დინამიკური თუ ტემბრული დრამატურგიის ხედვაში, აზრობრივ — ემოციური აქცენტების გადახალისებაში, ეს იყო მარად ხალასი მუსიკის თანამედროვე თვალთახედვის პრიზმაში გარდატეხის შესანიშნავი ნიმუში. თუმცა, ასეც უნდა იყოს, — მუსიკალური შემსრულებლობა ხომ მუდმივად განვითარებადი პროცესია. და მაინც, დამეთანხმებით, კომპოზიტორის ჩანაფიქრის სიღრმისეული შეცნობა, მის ინტელექტუალურ ხვეულებში წვდომა და შემდგომ საკუთარი, თვითმყოფი, ორიგინალური (თუმცა, ცხადია, კომპოზიტორის იდეის შესაბამისი) და ამასთანავე, მაღალნიჭიერი გადმოცემა ჭეშმარიტად დიდ ხელოვანთ, დახვეწილ ინტერპრეტატორებს ძალუძთ. სწორედ ასე აღვიქვი ალექსანდრე კორსანტიასეული და ვახტანგ კახიძისეული გააზრება ჩაიკოვსკის ამ უპოპულარულესი ქმნილებისა.

ზურაბ ოიკაშვილი.

სურათზე: გარი ჰოფმანი; ალექსანდრე კორსანტია და ვახტანგ კახიძე.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

(დასასრული იქნება)

● წინააღმდეგობანი ანტიერაყული ოპერაციის გამო
● 2004 წელს ევროკავშირს ყოფილი სოციალისტური ქვეყნები შეემატება
● მზეს ახალი თანამგზავრი გამოუჩნდა
● იაპონური ჩეჩმა: „სეზამ, გაიღე!"

სადამი პირველ დარტყმას ვერ გაბედავს

აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აზრით, იმის ალბათობა, რომ სადამ ჰუსეინი თვალსაწიერ მომავალში შეერთებული შტატების წინააღმდეგ იხმარს ქიმიურ ან ბიოლოგიურ იარაღს, არ არის დიდი.

მაგრამ სენატის დაზვერვის საკითხთა კომიტეტისადმი წერილში ცენტრალური სადაზვერვო უწყება აცხადებს, რომ ერაყზე თავდასხმის შემთხვევაში ასეთი ალბათობა „საკმაოდ მაღალი" იქნება.

თავის წერილში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამტკიცებს, რომ ამ მომენტში საეჭვოა, სადამმა იერიში მიიტანოს შეერთებულ შტატებზე ჩვეულებრივი შეიარაღების ან — რაც უფრო მნიშვნელოვანია — მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით. მაგრამ ბაღდადის წინააღმდეგ მიმართულმა საომარმა აქციამ შეიძლება, გააქარწყლოს ბევრი შემაკავებელი ფაქტორი.

* * *

ცენტრდაზვერვის მეთაური ჯორჯ ტენეტი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ასეთი თვალსაზრისით არ ეწინააღმდეგება აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამონათქვამებს, რომელსაც შეიცავს მისი ორშაბათის განცხადება.

თავის სიტყვაში ბუშმა ხაზი გაუსვა: „ერაყს ნებისმიერ დღეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, ჩაუდოს ხელში ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღი ტერორისტთა ჯგუფს ან მარტოხელა ტერორისტს, რაც ერაყის რეჟიმს მისცემს შესაძლებლობას, ისევ მიიტანოს იერიში ამერიკაზე, რომ არავითარი კვალი არ დარჩეს".

ეს არგუმენტი დედაარსია ახლანდელი ამერიკის ადმინსტრაციის პოზიციისა, რომელიც მარტო იმას კი არ ამტკიცებს, რომ ერაყი თეორიულად უქადის საფრთხეს მსოფლიოს. აშშ ხელისუფალთა აზრით, საშიშროება იმდენად დიდი და მოახლოებულია, რომ შეიძლება, გაამართლოს ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება.

* * *

და მაინც, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, ცენტრალური სადაზვერვო წერილის გამოქვეყნება ახალ არგუმენტებს აძლევს როგორც ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს.

წერილში ამტკიცებენ, რომ როგორც ამერიკის ლიდერი ვარაუდობს, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ბაღდადს დამყარებული ჰქონდა კონტაქტები „ალ-ყაიდას" ქსელთან. მაგრამ, ამავე დროს, ცენტრდაზვერვას მიაჩნია, რომ ერაყზე თავდასხმა პროვოკაციურად გამოიწვევს სცენარს, რომლის თავიდან აცილებასაც ცდილობს ბუში — სადამ ჰუსეინის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება შემდეგი პლანის მთელი რიგი უფრო ფართო კითხვები: როდესაც ბაღდადის წინააღმდეგ უმკაცრესი მოქმედების საჭიროების დასაბუთებას ისწრაფვის, ხომ არ ამარტივებს ამერიკის ადმინისტრაცია პრობლემას, რომელზეც ექსპერტებს დღემდე ვერ მიუღწევიათ თანხმობისათვის?

ამ მომენტისათვის ამერიკის უწყებებს შორის, მაგალითად ფედერალურ გამოძიების ბიუროსა და პენტაგონს შორის — უკვე შეიმჩნეოდა ბევრი უთანხმოება იმ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ბაღდადს კავშირი „ალ-ყაიდასთან" და, არსებობს თუ არა მასობრივი დაზიანების იარაღი ერაყში. ყველა სპეციალისტი როდია დარწმუნებული იმაში, რომ ეს მტკიცებულებანი ისეთი აშკარაა, როგორც სახელმწიფო მოხელენი უმტკიცებენ საზოგადოებას.

ბლერი საერთაშორისო კოალიციის შექმნას მოითხოვს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მოუწოდა, შეიქმნას ფართო საერთაშორისო კოალიცია ერაყის ორგვლივ წარმოშობილი კრიზისის გადასაწყვეტად.

ლეიბორისტული პარტიის ბლეკპულის ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოსვლისას ბლერმა განაცხადა, რომ ერაყის პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ისეთივე კოალიცია, „როგორც სნეულებების, ტერორიზმის, სიღატაკისა და პლანეტის ჰავის დათბობის წინააღმდეგ საბრძოლველად".

ამასთან, ბრიტანეთის პრემიერი ამტკიცებდა, რომ ერაყის მიმართ საერთაშორისო გაერთიანების უმოქმედობამ შეიძლება, მოჰყვეს გაეროს ავტორიტეტის კრახი.

ბლერმა, ჯორჯ ბუშის საიმედო მოკავშირემ, განაცხადა, რომ გაერო მზად უნდა იყოს სადამ ჰუსეინის დასამხობად, თუ იგი უარს იტყვის განიარაღების ინსპექტორთა შეშვებაზე. „ზოგჯერ, როდესაც საქმე გაქვს დიქტატორებთან, მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთი შანსია, — მზად იყო ომისათვის".

თავის სიტყვაში ტონი ბლერმა, ასევე „ხელთათმანი ესროლა" ერთიან ევროპულ ვალუტასთან — ევროსთან ბრიტანეთის შეერთების მოწინააღმდეგეებს და განაცხადა, რომ ერთიანი ვალუტის შემოღება გარდაუვალია ევროპისათვის.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გაეროს მოუწოდა, ისეთივე უმკაცრესი რეზოლუციები მიიღოს ახლო აღმოსავლეთის თაობაზე, როგორც ერაყის კრიზისის გამო. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ რეზოლუციები უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ისრაელის, არამედ, აგრეთვე, ყველა იმ მხარის მიმართ, ვინც ამ სიტუაციაში არის ჩათრეული. ბლერის თქმით, მთელმა მსოფლიომ, მათ შორის არაბულმა სამყარომ, უნდა აღიარონ ისრაელის უსაფრთხო არსებობის უფლება და პალესტინელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლება, რომელიც 1967 წლის ფარგლებში უნდა აღდგეს.

ევროკავშირის გაფართოების დოკუმენტი მოწონებულია

ოთხშაბათს ბრიუსელში გამართულ სხდომაზე ევროპის კომისიამ მოიწონა დოკუმენტი, რომლის შესაბამისად უკვე მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს მოლაპარაკება 10 კანდიდატ ქვეყანასთან, ხოლო 2004 წლისათვის ეს სახელმწიფოები ევროკავშირში უნდა მიიღონ.

მოხსენება ამ თემაზე, რომელიც 93 ფურცლისაგან შედგება და სათაურად წამძღვარებული აქვს — „კავშირის გაფართოების საკითხისათვის" , — ეს არის არსებითი ნიშანსვეტი ევროკავშირის არსებობის წლებში მისი ყველაზე მასშტაბური ექსპანსიის გზაზე.

ამასთან, გათვალისწინებულია, მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესდეთ ახალ წევრებს. ამრიგად, 10 პრეტენდენტისათვის, რომელთა უმრავლესობა წინათ სოციალისტურ ბანაკში შედიოდა, რამდენიმე უახლოესი წელიწადი ფაქტობრივად გამოსაცდელი ვადა იქნება.

მათ მიღებამდე სამი თვით ადრე ევროკომისია შეაფასებს, თუ როგორ შეასრულეს ამ ქვეყნებმა დაპირებები საერთო-ევროპული წესების ისეთ სფეროებში დანერგვის შესახებ, როგორიც არის სასურსათო უსაფრთხოება და სასაზღვრო კონტროლი. შემდეგ კიდევ ორი წლის განმავლობაში, ევროკავშირს ექნება უფლება, მიიღოს ღონისძიებანი აღმოსავლეთიდან იმიგრანტთა მოზღვავების თავიდან ასაცილებლად.

მოხსენებაში ძირითადი ყურადღება ეთმობა კორუფციასთან ბრძოლას პრეტენდენტ ქვეყნებში. აგრეთვე, მისი ავტორები მიიჩნევენ, რომ საჭიროა, მეტი ყურადღება დაეთმოს ევროკავშირში უკვე შესული ქვეყნების მოსახლეობისათვის იმ სარგებლობის განმარტებას, რომელსაც მოუტანს მათ კავშირის გაფართოება, სახელდობრ, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა.

მეტი დახმარება

ბულგარეთსა და რუმინეთს, რომლებიც ვერ მოხვდნენ ახალი წევრების პირველ ტალღაში, მაინც აღუთქვეს რომ 2007 წლისათვის ისინი, ალბათ, შეძლებენ ევროკავშირში შესვლას. გარდა ამისა — პირველად — ბრიუსელის შეხვედრაზე გაცხადდება, რომ ბულგარეთი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა.

სოფიასაც და ბუქარესტსაც შეეძლებათ, ამასთან დაკავშირებით იქონიონ იმედი, რომ ევროკავშირი თანდათან და არსებითად გაუზრდის დახმარებას, 2004 წლიდან მოყოლებული.

ევროკომისიის მოხსენებაში არაფერი არ არის ნათქვამი თურქეთთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მაგრამ ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს მაინც განზრახული აქვს, წამოაყენოს წინადადება, რომ 2006 წლისათვის გააორკეცონ ამ ქვეყანას ფინანსური დახმარება.

მიესალმებიან რა ანკარის უკანასკნელ ნაბიჯებს სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და ქურთი უმცირესობის მიმართ კულტურული კონტროლის შესუსტების გზაზე, მოხსენების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ თურქეთი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ეკონომიკურ კრიტერიუმებს. ასე რომ, ამ ქვეყნის მიღებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებული სიტუაციის პოლიტიკურ შეფასებას, ევროკავშირის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ ისინი ვერ იმსჯელებენ ამის თაობაზე, სანამ თურქეთში არ გაიმართება ნოემბრისათვის დასახული საყოველთაო არჩევნები.

საბოლოო გადაწყვეტილებას ევროკავშირის გაფართოების საკითხზე ამ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები მიიღებენ სამიტებზე, რომლებიც ოქტომბრის დამლევს გაიმართება ბრიუსელში და დეკემბრის დამდეგს — კოპენჰაგენში.

იაპონელებმა სრულყოფილი საპირფარეშო შექმნეს

ტოკიოში თებერვლიდან მიმდინარეობს ჩეჩმების ომი. კომპანია მაცუშიტამ წარმოადგინა ახალი დასაჯდომი ელექტროდენით, რომლებიც მასზე წამოსკუპებული კაცის ორგანიზმში არსებული ცხიმის რაოდენობას ზომავენ.

კონკურენტი კომპანიის ინაქსის ინჟინრები ამან ვერ გააკვირვა. აპრილში ისინი კონტრიერიშზე გადავიდნენ და გამოიგონეს უნიტაზი, რომელიც სიბნელეში ანათებს და კაცის მიახლოებისას თვითონ იწევა სახურავი. კლიენტს შეუძლია, აგრეთვე, მუსიკა მოისმინოს. პროგრამაში შედის ჩიტების ჭიკჭიკი, ჩანჩქერის ხმაური, ზარების წკრიალი და იაპონური არფის ჰანგები, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი" 9 ოქტომბრის ნომერში.

ინაქს კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა მასაშირო იგუჩიმ თქვა, რომ იაპონურ სახლში „ერთადერთი ადგილი, სადაც შეგიძლია, მშვიდად განმარტოვდე, — ეს არის საპირფარეშო".

ალბათ, სწორედ ეს გახდა იმ აქტიური კვლევის მიზეზი, რომელსაც იაპონიის კომპანიები ეწევიან. იაპონელები განთქმული არიან თავიანთი მიღწევებით ელექტრონიკის დარგში. ბოლო დროს, ისინი ჩეჩმის სრულყოფამ გაიტაცა. იაპონელებს შეუძლიათ, გვარიანად მოითბონ ხელი უნიტაზების ჩინეთსა ან ვიეტნამში ექსპორტით. მაგრამ, იმისათვის, რომ წარმატებით გაყიდონ ისინი იაპონიაში, იძულებული არიან, სულ ახალ-ახალი ეგზოტიკური დეტალები მოიგონონ.

მაისში მაცუშიტამ წარმოადგინა 3000 დოლარი ღირებულების უნიტაზი, რომელიც სტუმარს სახურავის აწევით მიესალმება და აღჭურვილია კონდიციონერით ზაფხულისათვის და გამთბობით — ზამთრისათვის.

საპირფარეშოების გიგანტმა ტოტომ მომხმარებლებს შესთავაზა უნიტაზი, რომელიც ავტომატურად ზომავს შარდში შაქრის შემცველობის დონეს. საანალიზო სინჯს იღებს პატარა მექანიკური ხელი, რომელიც კოვზით არის აღჭურვილი.

მომავლის ტუალეტი, ანუ საოჯახო სამედიცინო ცენტრი და მედიტაციის ადგილი იქნება გასაიდუმლოებულ საკვლევ ცენტრში, სადაც არც დამთვალიერებლებს უშვებენ და არც ფოტოგრაფებს.

მაცუშიტას უნიტაზი წყლის ჭავლით ბანს და უტარებს მასაჟს დუნდულა კუნთებს. ეს პროცედურა იაპონიაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ქვეყნის ნახევარ ოჯახებს სწორედ ასეთი ტუალეტები აქვთ.

ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა მოლაპარაკე უნიტაზები. ახალი მოდელები აღჭურვილია მიკროჩიპებით და შეუძლიათ, პირადად მიესალმონ თითოეულ სტუმარს. გარდა ამისა, ბრძანებაზე — „სეზამ, გაიღე!", უნიტაზს თვითონ ეხდება სახურავი.

ტუალეტების გარდა, კომპანია ტოტო, რომელიც ცდილობს, გადაწყვიტოს მარადიული პრობლემა, უშვებს მოწყობილობას, რომელიც ქიმიურად ანეიტრალებს სუნს, ხოლო ინაქსი ჰყიდის კაფელს, რომელიც შთანთქავს უსიამო არომატებს.

მაგრამ გაყიდვის რეალური ზრდა მაინც დაკავშირებული იქნება ინტერნეტში ჩართულ სამედიცინო ტუალეტებთან.

ანალიზების შედეგები პირდაპირ საპირფარეშოდანვე, ინტერნეტის მეშვეობით, გადაეცემათ ექიმებს.

ამის შემდეგ, აღარ არის გასაკვირი, რომ იაპონელები მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახალი პლანეტა აღმოაჩინეს

ასტრონომებმა მზის სისტემაში აღმოაჩინეს ახალი ობიექტი. იგი წააგავს პლანეტას, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს პლუტონისაგან მილიარდ-ნახევარ კილომეტრზე.

ახალ პლანეტისმაგვარ ობიექტს კვაოარი ეწოდა. მისი დიამეტრია დაახლოებით 1280 კილომეტრი (დედამიწის დიამეტრზე 10-ჯერ ნაკლები). ეს არის ყველაზე დიდი ნაპოვნი მზის სისტემაში 72 წლის წინათ პლუტონის აღმოჩენის შემდეგ. მზის გარშემო ციური სხეულის მიმოქცევის პერიოდი 288 წელიწადს შეადგენს.

კალიფორნიის პასადენის ტექნოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტთა ეს აღმოჩენა დაადასტურეს „ჰაბლ" კოსმოსური ტელესკოპისაგან მიღებულმა ფოტოსურათებმა. ახალ ობიექტს ეწოდა იმ ღვთაებრივი ძალის სახელი, რომელიც ამერიკელ ინდიელთა მითოლოგიის თანახმად, სამყაროს შექმნაში მონაწილეობდა.

მაგრამ, კვაოარი არ არის ახლახან აღმოჩენილი ციური სხეულის ოფიციალური სახელწოდება. სიახლეს მიეკუთვნება ნომერი 2002 LM-60. მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ ასტრონომთა საერთაშორისო კავშირი განიხილავს წინადადებას პლანეტის ნათლობის შესახებ.

კვაოარის პირველი გამოსახულებანი ჯერ კიდევ 1982 წელს იქნა მიღებული. მაგრამ, მაშინ ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენდა ობიექტი, მიღებულ გამოსახულებებზე რომ მოჩანდა.

საინტერესო ფაქტს აღნიშნავენ მეცნიერები: ყველა აქამდე ცნობილი ასტეროიდი რომ შეაერთო, მაინც კვაოარზე ნაკლები გამოვა, იუწყება ბი-ბი-სი.

კვაოარი იმყოფება ეგრეთ წოდებულ კოიპერის სარტყელში, რომელიც წარმოადგენს ყინულისა და ქვის ქანის იმ ობიექტების წყებას, მზის სისტემის წარმოქმნაში რომ მონაწილეობდნენ დაახლოებით 5 მილიონი წლის წინათ.

სწავლულები უკვე ამტკიცებენ, რომ კოიტერის სარტყლის აღმოჩენამ ეჭვქვეშ დააყენა ის ფაქტი, რომ პლუტონი პლანეტაა. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ეს არის უბრალოდ უფრო დიდი ზომის სხეული, რომელიც კოიტერის სარტყელში მდებარეობს. მათი თქმით, პლუტონი უფრო ადრე რომ აღმოეჩინათ, მას, ალბათ, პლანეტად არ მიიჩნევდნენ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

არჩილ მანჯგალაძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კოლეგები

(პირველი გვერდიდან)

კადრს მიღმა

თავისთავად საინტერესოა, ერთხელ მაინც თვალი მიადევნო „ალიონის“ შემოქმედებითი ჯგუფის საოცრად ემოციური მუშაობის პროცესს, როცა ყოველი წუთი თუ წამი წინასწარ გათვალისწინებული და გათვლილია, თანაც სანატრელი... ძალიან, ძალიან საინტერესოა, დაინახო ის, რასაც ეკრანზე ვერ ხედავ, მიჰყვე იმ გზას, რომელიც ეკრანთან მიგვიყვანს და... და გაეცნო თითქოს ნაცნობ და ამავე დროს უცნობ სამყაროს – დიდ, თბილ ოჯახს, სადაც სიყვარული, სიკეთე და სილამაზე მეგობრობასთან გაერთიანებულა და გამეფებულა, სადაც თითოეული „ალიონელისთვის“ მაყურებელზე ზრუნვა ფიქრად ქცეულა.

... და მაინც, როგორ მზადდება გადაცემა? რა ხდება კადრს მიღმა?

... როგორც ვიცით, ყოველ დილით, საქართველოს ტელევიზიის I არხით პირდაპირ ეთერში ორი წამყვანი წყვილი, ორ-ორი ჟურნალისტი (გიორგი ახვლედიანი და რუსუდან მანჯგალაძე, ალექსანდრე ფარულავა და ნინო შუბლაძე) ურთიერთს ცვლიან.

მანამდე კი...

– გადაცემის მომზადებამდე ჩვენ, წამყვანები – მეუბნება **რუსუდან მანჯგალაძე,** – **მთავარ (ოთარ შაორშაძე) და გამომშვებ (გოჩა ხუნდაძე, მაია რამიშვილი) რედაქტორებთან ერთად ვიწყებთ გეგმის შედგენას, ანუ ერთობლივად ვაყალიბებთ იმ მოკლე მონახაზს, რასაც შემდგომ სრულყოფილად ვაჩვენებთ და მივაწვდით მაყურებელს. რა თქმა უნდა, წინდაწინ განისაზღვრება, თუ რა ინფორმაციებითა და სიუჟეტებით შეივსება გადაცემა, რა იქნება დღის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემა, რა სიახლეებს გვთავაზობს ეკონომიკა, რას გვიმზადებს კულტურული ცხოვრება. ამასთანავე, ვითვალისწინებთ გადაცემის მუდმივ რუბრიკებს, ვიწვევთ სტუმრებს. შემდეგ უკვე შავად შედგენილ სქემას ეცნობიან ის ჟურნალისტები, რომლებიც რუბრიკებსა და სიუჟეტებზე თავადვე მუშაობენ და მზა მასალას ჩვენც გვაცნობენ... წინა დღით კიდევ ერთხელ, დაიხვეწება, ჩამოყალიბდება სცენარი და საღამოობით ან გვიან ღამითაც, მიმდინარეობს ხოლმე გადაცემის აწყობა, აგება, დამონტაჟება და დილით, რვის ნახევარზე, უკვე პირდაპირ ეთერში ვართ... იცით, წელიწადნახევარია, რაც „ალიონის“ წამყვანი ვარ, მაგრამ დილით ადგომა ძალიან მიჭირს, ექვსის ნახევარზე უკვე ფეხზე უნდა ვიყო, მაგრამ არის მიზანი, რომელიც ამართლებს ამ ყოველივეს – პასუხისმგებლობა და სიყვარული. უძილობას იმდენად არ ვჩივი, რამდენადაც გადაცემის დასრულების შემდგომ დაღლილობას – ორსაათიანი სრული მობილიზება და თანაც თანამდევი ღელვა, საოცრად მომქანცველია, თუმცა კი, ორიოდე ტკბილი სიტყვა და შექება ყველაფერს მავიწყებს, უდიდეს სიხარულს მანიჭებს და მეტ სტიმულს მაძლევს.**

...დილაადრიან, საინფორმაციო შემეცნებით-გასართობი პროგრამის ხასიათი საამო და მრავალფეროვანია.

– ჩვენი უმთავრესი მიზანია, მაყურებელს დადებითი ემოცია გადავცეთ, სითბო ვაგრძნობინოთ, კარგი განწყობა შევუქმნათ და კიდეც ვასიამოვნოთ, – ერთვება საუბარში **გიორგი ახვლედიანი,** – **დღევანდელობისგან განსხვავებით მაშინ, როცა „ალიონი“ პირველად გავიდა პირდაპირ ეთერში, ომიდან მოსულ ოპერატიულ ინფორმაციას გადმოსცემდა, შესაბამისად, აქცენტი ცხელი წერტილისკენ იყო მიმართული და ეს ტენდენცია კარგა ხანს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოებრიობა ზედმეტად პოლიტიზებულია, მაინც აინტერესებს გუშინდელი დღის მთავარი და მნიშვნელოვანი თემა პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომაც, პოლიტიკური ანალიზი, შეჯამება და მიმოხილვა პოლიტოლოგებთან, ან თუნდაც პოლიტიკოსებთან დიალოგით საინტერესოა ხოლმე. ამ დროს გარკვეულწილად, ჟურნალისტის დამოკიდებულება და პოზიციაც იკვეთება, თუმცა კი, ობიექტურობა არ უნდა დაირღვეს. სტუდიის სტუმრებს, როგორც წესი, მუდამ აგვიანდებათ მოსვლა და ამიტომაც ჩვენვე ვურეკავთ, ვაღვიძებთ და ვაჩქარებთ კიდეც. ხომ ისედაც მცირე დრო აქვთ, რასაც ჩვენც განვიცდით, – მეტის თქმის სურვილი, ხანდახან დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვიჩნდება, მაგრამ თუ ყოველივე, რაც ჩაფიქრებული გვქონდა, ერთიანად მივაწოდეთ ხალხს, მაშინ შინაგანი კმაყოფილება მომდევნო გადაცემამდე მიგვყვება. როგორც თქმულა, თუკი გვერდში მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ იმღერებო და მართლაც ასეა. მე და რუსუდანი ორი საათის განმავლობაში კიდეც ვმღერით და კიდევაც ვიღიმებით. საკმარისია, რომელიმე ჩვენგანი არ იყოს სასურველ განწყობაზე, რასაც ეს გადაცემა მოითხოვს, მაშინვე ვამჩნევებთ ერთმანეთს. იცით, ასეთი მხარდაჭერა ეკრანზეც კარგად ჩანს.**

... რათა რაიმე ღირსეული და ჭეშმარიტად სრულფასოვანი შექმნა, ისევ და ისევ უნდა ეძიო და ბოლომდე დაიხარჯო. სხვანაირად და სხვაგვარად, ალბათ, არაფერი გამოვა.

– ჩემთვის „ალიონში“ დღევანდელი დღე რამდენიმე დღით ადრე იწყება, როცა ვიზუალურად და ტექნიკურად უზრუნველვყოფ წინასწარ ჩაფიქრებულ იდეას. უკვე ხუთი წელიწადია, რაც „ალიონში“ ვმუშაობ და ვამზადებ პოლიტიკურ სიუჟეტებს, არა რეპორტაჟული და ინფორმაციული თვალსაზრისით, არამედ ანალიტიკური მიდგომით, მიამბობს ჟურნალისტი **რუსუდან ვაშაკიძე. შესაბამისად, რესპონდენტებიც იმისდა მიხედვით ირჩევა, ვინც ნაკლებად ჩანს ტელეეკრანზე და ვინც იგივეს არ გაიმეორებს, რაც უკვე ითქვა და ცნობილია. ჩვენ არ ვართ ორიენტირებული აგრესიასა და სკანდალებზე, არც ცალმხრივად ვაშუქებთ საკითხს – მხოლოდ ერთი სუბიექტური მოსაზრებით არ ვკმაყოფილდებით. ამდენად, პოლიტიკური ოპონირება აუცილებელია და სწორედ ურთიერთსაწინააღმდეგო, რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამოვლენა მაყურებლისთვის უფრო საინტერესოა. ამიტომაც უდიდესი პასუხისმგებლობით ვეპყრობი, როდესაც ვამზადებ ისეთ თემებს, როგორიცაა შიდა და საგარეო პოლიტიკა, ასევე ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა, თუნდაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა; ყოველი სიუჟეტი, ყოველი ფრაზა, ყოველი წინადადება თუ სიტყვა წინასწარ მოფიქრებული და აწონილია, წინდაწინ ასჯერ გადამოწმებული და გათვლილია, რადგანაც სიყალბეს, მცირე შეცდომას, ან კიდევ, ზერელე მიდგომასაც კი, მაყურებელი გრძნობს და არასდროს გაპატიებს.**

საოცრად ნიჭიერი კოლექტივია შემოკრებილი „ალიონის“ ირგვლივ და მათი აზრი, ხედვა, მიდგომა ამა თუ იმ საკითხებისადმი, ერთნაირად მისაღები და გასათვალისწინებელია. ვფიქრობ, უკეთესი ტექნიკური უზრუნველყოფის პირობები რომ გვქონდეს, გაცილებით უფრო მეტ შემოქმედებით შესაძლებლობებს გამოვავლენდით. აქამდე ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ნორმალური სამონტაჟო ვიდეოაპარატურის, ნორმალური კამერის და მიკროფონის შეძენა; რაც გვაქვს, იმდენად მოძველებული და დანგრეულია, რომ მგონია „ჯადოქრულად“ გამოგვდის ყოველივე. სამონტაჟო მუშაობა ძალიან შრომატევადია და უმეტესწილად გამითენებია კიდეც. საკმაოდ დიდი დრო მიაქვს რუბრიკას – იმპროვიზაცია, რომელშიც საინტერესო ადამიანების შემოქმედებით პორტრეტს ვძერწავ.

– სამუშაო დღის რეჟიმი ნიადაგ დაძაბული და რთული გვაქვს, – ამბობს **ნათია წულაძე. – შესაბამისად, ვერასდროს განსაზღვრავ, თუ როდის გათავისუფლდები, ანდა როდის მოგიწევს გადაღებაზე წასვლა და უკვე გამზადებული სიუჟეტის ჩაბარება... აქ რეჟისორებთან და ასისტენტებთან ერთად ჟურნალისტები, წამყვანები ღამეებს ათენებენ, რათა სიუჟეტები, რეპორტაჟები მომზადდეს, გადაცემა აეწყოს და დილით ეთერში გავიდეს. ასეთია „ალიონის“ ჩვეული რიტმი, რომელსაც მთელი შემოქმედებითი კოლექტივი იმდენად მიეჩვია და გაითავისა, რომ უკვე ცხოვრებისეულ ნორმად გადაიქცა. შემოქმედებითი გაერთიანების ყოველი წევრი „ალიონის“ ცხოვრებით ცოცხლობს და სხვანაირად, მართლაც, წარმოუდგენელია. გადაცემა ძირითადად სიუჟეტებით ეწყობა და თითოეული რეპორტაჟი გულმოდგინე მომზადებას მოითხოვს. გადაღებიდან პირდაპირ ე. წ. გასაშიფრი აპარატურისკენ მივექანებით ხოლმე, რათა ჩაწერილი მასალა მოვისმინოთ და თანაც იქვე მოვინიშნოთ, როდის რა სინქრონი უნდა გამოვიყენოთ. შემდეგ უკვე ტექსტი იწერება, რასაც საბოლოო სახე სამონტაჟოში მიეცემა, იქ მუშაობისთვის წინასწარ თადარიგი უნდა დაიჭირო, რიგი დაიკავო და ამასთანავე, სწრაფად იმოქმედო, რათა მომდევნოს ხელი არ შეუშალო. სიუჟეტის აწყობის პროცედურა სიტყვიერად თითქოს ადვილად გამოიხატება, მაგრამ პრაქტიკულად დიდ შრომას და დროს მოითხოვს – დროს, რომელიც შეიძლება დილის ექვს საათამდეც გაგრძელდეს. ჩვენს მიერ მომზადებულ სიუჟეტს გამომშვები რედაქტორი (გოჩა ხუნდაძე ან მაია რამიშვილი) იბარებს, და ამ შეკრებილი რეპორტაჟებით დამით პროგრამას აგებს ან ავსებს.**

და კიდევ... ტიტრები...

პროგრამის ხელმძღვანელი: ოთარ შაორშაძე.

გადაცემის რედაქტორები: გოჩა ხუნდაძე და მაია რამიშვილი.

წამყვანები: რუსუდან მანჯგალაძე და გიორგი ახვლედიანი, ნინო შუბლაძე და ალექსანდრე ფარულავა.

ჟურნალისტები: რუსიკო ვაშაკიძე, ნინო კაკულია, მანანა ტურიაშვილი, რუსიკო ყურაშვილი, ნათია ფოფხაძე, ელისო შენგელია, ეკა კიკნაძე, სოფო ზურაბიანი, ნათია წულაძე, ნათია ქემაშვილი, თეა კვირტია, ლალი კურდღელაშვილი, ანა სინაურიძე, ლია გაგოშიძე...

ოპერატორები: ა. კუტალაძე, გ. მერაბიშვილი, მ. ქართველიშვილი, ა. ჩიქვინიძე.

რეჟისორები: გ. იაშაღაშვილი, დ. ჩხაიძე, დ. პაპელაშვილი, ა. რაჭველიშვილი.

ასისტენტები: კ. მელიქიძე, დ. ბერდიაშვილი, თ. შოვნაძე.

ადმინისტრატორები: ნ. ბოჭორიძე, ხ. წიკლაური, გ. თოთლაძე.

და ალბათ, ბევრი კიდევ სხვა... მაგრამ მაინც აი, ის შემოქმედებითად გაერთიანებული ჯგუფი, ყოველ დილით რომ გვაღვიძებს...

მანამდე კი...

საეთერო სტუდიის მოწყობა და საჭირო აპარატურით უზრუნველყოფა, შესაბამისად, ტექნიკურ პერსონალს ევალება, რომელიც...

– 3-4 დღეში ერთხელ ვიცვლებით და „ალიონისთვის“ მზადებას დილის 6 საათიდან ვიწყებთ. რედაქციასთან შეთანხმებით გადაცემისთვის 5 კამერა მუშაობს მიკროფონებით, რომელთა ჩართვა, ტექნიკური შემოწმება, გამოსახულების მიღება, სიგნალის გადაცემა, ხმის დაყენება ჩვენვე გვევალება. დაახლოებით ერთი საათი სჭირდება აპარატურის აწყობას, მომზადებას, ჩართვას, ცენტრალურ, შემდეგ კი ტელევიზიის ანძასთან დაკავშირებას. ასეთია ტექნიკური პერსონალის მოვალეობა, რის შემდეგაც რეჟისორის საქმიანობა იწყება – მესაუბრებიან საეთერო სტუდიის ტექნიკური ინჟინრები **ზიზი ცანავა და გოჩა ბაბუა. პროგრამის მთავარი რეჟისორი ანზორ რაჭველიშვილი კი სამსახურებრივ ვალდებულებად მიიჩნევს „წამყვანების მომზადებას, სიუჟეტების აწყობას და თვალყურის დევნებას, გადაცემის დამონტაჟება-აგებას.**

– ამგვარი მუშაობისთვის ხშირად ასისტენტებთან და ჟურნალისტებთან ერთად ღამის თევაც მიწევს – ამბობს იგი, – **რათა ვიდეომასალა საბოლოოდ სრულფასოვნად მომზადდეს. ორი ჯგუფი მორიგეობს და ღამის თევაც რომ არ მიწევდეს, დილის 8 საათზე მაინც აქ უნდა ვიყო.**

და კიდევ, ერთი სასიამოვნო და აუცილებელი პროცედურა – როცა მხატვარ-გრიმიორი წამყვანების სახეზე, თავის პალიტრით ერთგვარ „ჩანახატს“ ასრულებს... ასრულებს ისე, – „როგორც განათება და სახის წყობა მოითხოვს – სად გამოიკვეთოს, სად შეივსოს და სად დაიჩრდილოს ნაკვთები. ჩვენი წამყვანები ბოლომდე მენდობიან და დამყოლები არიან, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ გავალამაზებ“ – გულახდილია გრიმიორი ნინო ლობჟანიძე.

და ბოლოს...

რამდენად რთულია პროგრამის ხელმძღვანელისთვის შემოქმედებითი ჯგუფის თავდადებული მუშაობის შეფასება, რამდენად რთულია იყო ობიექტური და ასევე მკაცრი შემფასებელი, ამავე დროს დარჩე ადამიანური?

– ჩემს გვერდით მომუშავე შემოქმედებითი გაერთიანების ყოველ წევრს, ყოველ ჟურნალისტს შვილად მივიჩნევ, – ამბობს იგი. **ყოველი მათგანის ნამუშევარს ვგულშემატკივრობ და მხარს ვუჭერ. ისინი ჩემგან საყვედურსაც იღებენ და უკმაყოფილებასაც გრძნობენ, თუმცა ეს ყოველივე უდიდესი სიყვარულით არის გამოწვეული. ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხის გვერდით ვმუშაობ და ყოველდღიურად ვხვდები მათ. უკვე მესამე თაობა იზრდება „ალიონში“ და ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება უწინარესად მეგობრული და ადამიანურია. ობიექტურები ვართ ერთმანეთის მიმართ – ავსაც ვამბობთ და კარგსაც, რადგან მათთვის სიკეთის მეტი არაფერი მსურს. და, იცით, კიდევ რა მინდა? ხალხი ისე გავაღვიძოთ, რომ აღარ ჩაეძინოს...**

რიჟრაჟთან ერთად ნაგრძნობი სითბო,

ანუ რა და როგორ ხდება სატელევიზიო პროგრამა „ალიონის“ კულისებში

მზევა მახარაძე.

ტურნირის შემდეგ

შემართებით ითამაშეს

თბილისის სპორტის სასახლეში მინიფეხბურთელთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო დღემ დიდი სიხარული მოჰგვარა გულშემატკივრებს. მოგეხსენებათ, ასპარეზობის უდავო ფავორიტი იყო ნორილსკის „ნიკელი“, რომელმაც პირველ ორ ტურში ძალების დაუძაბავად დაამარცხა პორტუგალიის და ლატვიის გუნდები. სწორედ, რუსეთის ჩემპიონს შეხვდა ჩვენი „იბერია“ და, როგორც გაუწყეთ, ვაჟკაცურ, დაძაბულ ბრძოლაში საპატიო ფრესაც მიაღწია. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ მატჩის მე-4 წუთზე კბილაძემ გახსნა ანგარიში, მაგრამ ორიოდ წუთში ნიკოლაევმა წონასწორობა აღადგინა, მერე კოროლმა და ივანოვმა სამამდე გაზარდეს ანგარიში. პირველი ტაიმის მიწურულს კვლავ კოროლმა გამოიჩინა თავი – 4:1.

შესვენების შემდეგ ორთაბრძოლის სურათი რადიკალურად შეიცვალა. მთელი ოცი წუთის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ალთუნაშვილმა (მან ამ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა) და სარქისიანმა ოთხი ბურთი გაუტანეს სტუმრებს, რასაც ნორილსკელებმა ერთი გოლით (ედუარდო ეუსებიო) უპასუხეს.

ამდენად, სამი მატჩის შემდეგ „ნიკელმა“ 7 ქულა მოაგროვა და მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. მას ქულით ჩამორჩა პორტუგალიის „ფრეიქსიერო“, რომელმაც ბოლო ტურში ლატვიელთა გუნდს სძლია 3:1, 4 ქულით მესამე ადგილზე „იბერია“ გავიდა. მეოთხე იყო „ოლიმპი“. მან ყველა შეხვედრა წააგო.

ტურნირზე საქართველოს კონტროლის პალატამ, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა, საქართველოს მინიფეხბურთისა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციებმა სპეციალური ჯილდოები დააწესეს. საუკეთესო მეკარის პრიზი ზვიად კუპატაძეს ხვდა, მცველისა – ედუარდო ეუსებიოს, ტექნიკური ფეხბურთელისა – ჯოელ ქეროშს („ფრეიქსიერო“), ბომბარდირისა – იური კოროლს (მან 5 ბურთი გაიტანა), საუკეთესო მოთამაშედ ნიკელელი მილივო სიმეონოვიჩი აღიარეს...

მატჩის შემდეგ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს **სულხან მოლაშვილს** ვესაუბრე.

– ყოფილი კალათბურთელი ვარ, მთელი ცხოვრება სპორტს და სპორტსმენებს ვქომაგობ, მაგრამ ისე არასდროს მინერვიულია, როგორც დღეს, – მითხრა ბატონმა სულხანმა. – მართალი გითხრათ, ექსცესების გვეშინოდა, არ გვინდოდა, უარყოფითი მორალური ფონი შეგვექმნა ეროვნული გუნდისთვის, რომელსაც შაბათს მეტად პასუხსაგები შეხვედრა აქვს რუსეთის ნაკრებთან. შეჯიბრების ორგანიზატორებმა, „იბერიისა“ და „ნიკელის“ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა, გულშემატკივრებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ამ ორი გუნდის შეხვედრა სპორტულ ჩარჩოებს არ გასცდენოდა.

დაძაბული ორთაბრძოლა იყო. იმის მიუხედავად, რომ „იბერია“ მხოლოდ წლინახევრის წინათ ჩამოყალიბდა ერთი უწყების ბაზაზე, თანაც მეტად მწირი ფინანსური შესაძლებლობებით, მდიდარი ტრადიციების და მატერიალურად უზრუნველყოფილ გუნდთან ვაჟკაცური გამკლავებით დაგვანახა, რომ საიმედო მომავალი აქვს, ოღონდ მეტი მხარდაჭერაა საჭირო.

რაც შეეხება ტურნირს, იგი ჩვენთვის ასეთი მაღალი რანგის პირველი ღონისძიება იყო. სტუმრებს თუ ვერწმუნებით, ურიგოდ ნამდვილად არ გვიმასპინძლია – უეფას წარმომადგენლები, მსაჯები, მწვრთნელები და ფეხბურთელები კმაყოფილნი დარჩნენ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს, სპონსორებს, გულშემატკივრებს მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.



ახლა ერთი დიდი საზრუნავიც გვაქვს: 4 ნოემბრიდან პორტუგალია მინიფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის სალიცენზიო ტურნირს მასპინძლობს ეროვნულ გუნდებს შორის. საქართველოს ნაკრები უმთავრესად „იბერიის“ ბაზაზე დაკომპლექტდება. ვეცდებით, პირველი ბარიერი პორტუგალიაში მაინც გადავლახოთ.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: სულხან მოლაშვილი; პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვახტანგ სართანია აჯილდოებს ედუარდო ეუსებიოს; ორთაბრძოლის მომენტი.

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

ისტორია

ფეხბურთი ხელოვნებაა!

ეს ფოტო სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზეა გადაღებული. ქართულ მოკლე ჩოხებში არიან გამოწყობილი ჩვენი ფეხბურთელები – (მარცხნიდან) მიხეილ მესხი, კარლო გაგნიძე, შოთა იამანიძე, ნიაზ ძიაპშიპა, ბორის ხასაია, ალიოშა კოტრიკაძე, მიხეილ პირაევი, მის გვერდით მდგომი ვერ შევიცანი, ვლადიმერ მარღანია, ესეც ვერ გამიხსენებია, მომდევნო კი ავთანდილ ხელაძეა. „სამთა მთიულურს“ „ცეკვავენ“ ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი და ვლადიმერ ელოშვილი; კოსტიუმიანი გახლავთ ქართული ფეხბურთის ლეგენდა, იმ დროს „დინამოს“ და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გაიოზ ჯეჯელავა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავეს.

ბავშვობისას მეც ვიყავი ფეხბურთით გატაცებული და, გასაგებია, ყველა თამაშს ვუყურებდი.

ბედნიერია ჩემი თაობა, რადგან ისეთი დიდებული ფეხბურთელების თამაში ნახა, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, ბორის ფროლოვი, ვიქტორ პანიუკოვი, ვიქტორ ბერეჟნოი, გრიგოლ გაგუა, არჩილ კიკნაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ (მიხო) ჭელიძე და სხვები.

როგორ შეიძლება დაგავიწყდეს კაცს, 1946 წელს ჩვენებმა მოსკოვის „დინამო“ რომ დაამარცხეს 3:2. რა ხდებოდა სტადიონზე! იმ მატჩში თითო ბურთი ბორის პაიჭაძემ, ასლან ხარბედიამ და ვიქტორ ბერეჟნოიმ გაიტანეს. მოსკოველები ახალი ჩამოსულები იყვნენ ინგლისიდან, სადაც მათ დიდი ტურნე ტრიუმფით ჩაამთავრეს. მახსოვს, ჟურნალ „ნიანგში“ კარიკატურაც დაიბეჭდა: ფაფახჩამოფხატულ „აზიურებში“ გამოწყობილ იმერელს შლიაპიანი, ხელჯოხიანი „ინტელიგენტი“ ეუბნება: გაიგეთ, ჩვენებს მოსკოვის „დინამოსათვის“ მოუგიათ?

– აბა, რავა, ანგლიჩანები ხომ არ ვეგონეთ!

... შეძლებისდაგვარად, მოსკოვსა და სხვა ქალაქებშიც ვყოფილვარ თამაშებზე. ყველაზე მეტად 1964 წლის მატჩი მახსოვს ბაქოში. მაშინ მთელი სერია მატჩებისა ჩვენებმა დაუმარცხებლად განვლეს და მოგეხსენებათ, პირველად სსრ კავშირის ჩემპიონებიც გახდნენ. მეგობრები ღამის მატარებლით აზერბაიჯანის დედაქალაქში წავედით. ბილეთები შოთა იამანიძემ გვიშოვა. ამ შესანიშნავ ფეხბურთელს მე-19 ვაჟთა სკოლიდან ვიცნობდი. ის მატჩი დინამოელებმა მოიგეს – სლავა მეტრეველმა საჯარიმო დარტყმით მოათავსა ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში. მაშინ ბაქოში თბილისელი ჭანჭალეიშვილი თამაშობდა, მაგრამ იმ პაექრობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ბევრი რამის გახსენება შეიძლება. აი, თუნდაც ნოდარ ახალკაცის – უდიდესი მწვრთნელისა და ფეხბურთის დიდი სპეციალისტისა, რომელმაც დინამოელებთან ერთად 13 მაისი გვაჩუქა. ბატონი ნოდარი „სოვეტსკოე ისკუსტვოში“ წერდა, ფეხბურთი ხელოვნებააო. დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენმა ბიჭებმა 12 ოქტომბერს ხელოვნება გვიჩვენონ და კვლავაც განგვაცდევინონ ის დიდებული წამები, რაც ჩემი და მომდევნო თაობის ქომაგებს განუცდიათ.

შეხსენება დიდი მატჩის წინ

ნოდარ ზედელაშვილი,

დამსახურებული ჟურნალისტი, საქინფორმი.

(ფოტო – ავტორის პირადი არქივიდან).

ჩოგბურთი

სტიმული მიეცათ

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირების დამთავრებისთანავე, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გაიმართა საქართველოს 2002 წლის პირადი ჩემპიონატი ჩოგბურთში მინისა და მინერალური წყლების კომპანიის პრიზზე. აღნიშნული კომპანია კარგა ხანია მხარში უდგას საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას. ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე გამართვისათვის ამჯერად მან 8 ათასი ლარი გაიღო. გამარჯვებული ჩოგბურთელისთვის 900 ლარი დააწესა, ვერცხლის პრიზიორისთვის – 600, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორისთვის – 400 ლარი. ასეთმა საპრიზო ფონდმა სტიმული შემატა ჩემპიონატს.



გოგონათა ტურნირში 16 უძლიერესი ჩაება. პირველ ნახევარფინალში ნათია მიქაძემ – 6:2, 6:2 დაამარცხა თინიკო ყავლაშვილი და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ნანა უროტაძემ ორსაათიანი ასპარეზობა მოუგო (7:6, 4:6, 6:4) სოფიკო მელიქიშვილს. მიქაძე-უროტაძის ფინალური შეხვედრაც საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. ჩემპიონის ტიტული და მთავარი პრიზი ნათია მიქაძემ მოიპოვა. ბრინჯაოს მედლისათვის მატჩში სოფიკო მელიქიშვილმა მოუგო (6:0, 6:2) თინა ყავლაშვილს.

საკმაოდ ადვილად გავიდნენ ვაჟთა ერთეულების ფინალში ირაკლი უშანგიშვილი და მიხეილ ჩადუნელი. პირველმა მათგანმა ნახევარფინალში (6:2, 6:1) დევი ენუქიძეს სძლია, ხოლო მეორემ ასეთივე შედეგით კონსტანტინე ბურჭულაძეს მოუგო.

ჩადუნელ-უშანგიშვილის ფინალური მატჩიც 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა და მიხეილ ჩადუნელის გამარჯვებით (2:1) დასრულდა. მესამე საპრიზო ადგილზე ბურჭულაძე გავიდა.

8 ოქტომბერს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კორტებზე სტარტი აიღო ალექსანდრე მეტრეველის სახელობის ტრადიციულმა ტურნირმა, რომელშიც რამდენიმე ასაკის ჩოგნის ოსტატი ჩაება.

შოთა ბოკერია.

სურათებზე: ვაჟთა პაექრობაში გამარჯვებული მიხეილ ჩადუნელი; გოგონათა შორის გამარჯვებულ ნათია მიქაძეს აჯილდოებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ყოველი მხრიდან

ხულიგნების წინააღმდეგ – ტელეკამერები

ბოლო ხანებში ბულგარეთის სტადიონებზე მომრავლებულმა ხულიგნურმა გამოხდომებმა აიძულა სოფიის სტადიონის „ვასილ ლევსკის“ ხელმძღვანელობა ევრო-2004 ჩარჩოებში შესარჩევი ციკლი ბულგარეთისა და ხორვატეთის ნაკრებების შაბათის მატჩზე წესრიგის ყოველგვარი დარღვევა უმალვე აჩვენოს სტადიონის უზარმაზარ სატელევიზიო ეკრანზე. ასე რომ, თავიანთ ხულიგნებს მთელი ქვეყანა პირადად გაიცნობს.

52 კამერა მიადევნებს „თვალს“ სტადიონის სექტორებზე გულშემატკივართა ქცევას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ტრიბუნებს, სადაც თავს იყრიან ყველაზე შფოთიანი ფანატები, მათ კი ძირითადად კარს უკან უყვართ მოკალათება.

„ვასილ ლევსკის“ სტადიონის დირექტორის ანტონ პოპოვის აზრით, ასეთი ზომები ხელს შეუწყობს უწესრიგობასთან ეფექტურ ბრძოლას და დაუყოვნებლივ წარმოაჩენს ხულიგნობის მოთავეებს. დირექტორის თქმით, ყველაზე შფოთიანი გულშემატკივრებისათვის მომზადებულია „გამაგრილებელი შხაპი“. ყოველივე ეს პოპოვმა გააცნო ბულგარეთის ყველაზე პოპულარული კლუბების გულშემატკივართა წარმომადგენლებს და მოუწოდა ბულგარული სტუმარ-მასპინძლობის დაცვისაკენ.

მჯობნის მჯობნი არ დაილევა

სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებად ითვლება პლანეტის ყველაზე უძლიერესი ადამიანების ჩემპიონატი, რომელიც ამას წინათ მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში გაიმართა. 11 ქვეყნიდან ჩამოსული ათი მამაკაცი და რვა ქალი ძალღონის დიდი დაძაბვით ეჯიბრებოდა ერთმანეთს უზარმაზარი ტრაილერების ადგილიდან დაძვრაში, უმძიმესი ნივთების ტყორცნაში, უსქელესი ფოლიანტების დახევაში, გიგანტური საბურავებით დატვირთული პლატფორმების აწევაში, თითქმის „დედამიწისხელა“ სფეროს ტარებაში და ა. შ.

ადვილი როდი იყო პოლონელი იარეკ დიმიკისათვის ამ 120-კილოგრამიანი ქვის ბირთვის ტარება, ან ინგლისელი ქალბატონის ჯეკი იანგისათვის 3-ტონიანი პლატფორმის აწევა. მსოფლიო ჩემპიონობა კი ამერიკელ ქალს ჯილი მილსს მიაკუთვნეს, რომელსაც ასე იოლად მიაქვს „ვედროები“, თითოეული 65 კილოგრამს რომ იწონის.

სურათებზე: ჯილი მილსი და იარეკ დიმიკი.

ნახევარფინალში გავიდნენ

მორეულ არგენტინაში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. რუსეთის ნაკრებმა მეოთხედფინალში იოლად სძლია საბერძნეთის გუნდს – 3:0, ამავე ანგარიშით იუგოსლაველებმა დაამარცხეს პორტუგალიელები. ერთობ დაძაბული გამოდგა ბრაზილიის ნაკრების მატჩი იტალიასთან – 3:2. ტურნირის მასპინძლები კი ნახევარფინალის საგზურისათვის ბრძოლაში ფრანგებთან დამარცხდნენ – 1:3.

დღეს გვიან ღამით გაიმართება ნახევარფინალური მატჩები: რუსეთი-საფრანგეთი, იუგოსლავია-ბრაზილია.

ცინცხალი ამბები

უზბეკეთის ხელისუფლებამ „კანონიერებისა და მორალის სახელით“ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალა ბილიარდის თამაში და გააუქმა ბილიარდის ფედერაცია. მათი აზრით, სპორტის ეს სახეობა მოსახლეობაში დანაშაულის გაზრდას უწყობს ხელს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირში კარგა ხანს ბილიარდი აკრძალული იყო, როგორც აზარტული თამაში.

გუნდ „ფორმულა-1“-ის ხელმძღვანელებს დაგეგმილი აქვთ, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ამა წლის 28 ოქტომბერს ლონდონის ჰიტროუს აეროპორტში, რათა განიხილონ ბერნ ეკლსტოუნისა და მაქს მოსლის რადიკალური წინადადებები. მათ რამდენიმე ვარიანტი უნდა წარადგინონ, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთი გუნდის დომინირებას მთელი სეზონის განმავლობაში.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის, ანუ „ერისკაცობის" ზეიმი ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში.
მარცხნიდან მარჯვნივ: პროფესორი აკაკი ხინთიბიძე, პროფესორი ავთანდილ იოსელიანი, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი.
სურათი გადაღებულია 1985 წელს რამინ გიორგაძის მიერ.

მოგვაწოდა სოკრატ სალუქვაძემ.

დიმილის დოზა



— როგორც წესი, ვეფხვები ადამიანებს არ ჭამენ. მაგრამ, თუ თქვენ შეგჭამათ ვეფხვმა, იცოდეთ, რომ ეს იშვიათი გამონაკლისია.

***

— ოპერა ისეთი სიტუაციაა, როცა კაცი, რომელსაც დანას გაუყრიან, კი არ კვდება, სიმღერას იწყებს.

***

— სიმართლე, ბოროტი განზრახვით თქმული, მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ნებისმიერი ტყუილი, კარგი განზრახვით თქმული.

***

— რა თქმა უნდა, ბედი არსებობს. აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ სხვათა წარმატება?!

***

რუსი სამხედროს ფიქრები: ჩვენს არმიას სჭირდება ჭკვიანი ადამიანები, მაგრამ იქ ჯანმრთელები მიდიან.

***

რალი პარიზი-დაკარი. ყველას გაუსწრო „კამაზის" ეკიპაჟმა. შტურმანი მძღოლს ეუბნება:
— ყურადღება! მგონი, ქალაქს ვუახლოვდებით!
— უკვე მივხვდი.
— როგორ?
— სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი მივარდება მანქანის ქვეშ.

***

ძაღლის თვალსაზრისით ადამიანს ყველაფერი ესმის, მაგრამ ყეფა არ შეუძლია.

***

ბრძნული აღმოსავლური ანდაზა ამბობს: „კარგი საუბარი ამცირებს სამუშაო დღეს".

***

ტროლეიბუსში 15-16 წლის გოგონების ერთი ჯგუფი ზის. საუბრობენ. შემოდის ბიჭი. გოგონების წინ დგება და ამბობს:
— რა სიმპათიური გოგონები არიან!
— აბა კი, — სიმპათიურები...
— კარგით, კარგით, ვიხუმრე!

მხარე

ბანკის ფილიალის ახალსახლობა

12 ოქტომბერს ახალციხეში შედგება „საქართველოს ბანკის" ახალციხის ფილიალის პრეზენტაცია. ფილიალის შენობა განთავსებულია ქალაქის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე №25.

ახალციხის ფილიალი „საქართველოს ბანკის" შექმნიდანვე არსებობდა და მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბანკო დაწესებულება იყო. ორი წლის წინათ ფილიალის მუშაობა დროებით შეჩერდა. კონსერვაციის პერიოდში ფილიალისთვის შეიძინეს ახალი შენობა, მოხდა მისი სრული რეკონსტრუქცია როგორც ტექნიკური, ისე დიზაინის თვალსაზრისით. ამჟამად „საქართველოს ბანკის" ახალციხის ფილიალი თანამედროვე საბანკო დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ორგანიზაციაა, რომელსაც მომხმარებლისთვის საქართველოში არსებული პრაქტიკულად ყველა საბანკო პროდუქტის შეთავაზება შეუძლია.

ფილიალი ემსახურება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მოსახლეობის მომსახურებისთვის დანერგილია საბანკო პროდუქტების ისეთი ფართო სპექტრი, როგორიცაა ვადიანი და მოთხოვნამდე ანაბრების გახსნა და მომსახურება, საბანკო გადარიცხვები, ნაღდი ფულის უსწრაფესი გადაგზავნის სისტემები „ვესტერნ იუნიონი" და „ელვა" სალომბარდო სესხები, კომერციული მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები, პლასტიკური ბარათებით მომსახურება და სხვა. ამას გარდა, იმუშავებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისა და უმუშევართა დასაქმების პროგრამები.

კინოფესტივალი

ანტალიაში ქართული ფილმების ჩვენება მოეწყო

„ოქროს ფორთოხალი" — ასე ერქვა კინოფესტივალს, რომელიც თურქეთში, კერძოდ, ანტალიაში პირველიდან ხუთ ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოში თურქეთის საელჩოს ერთობლივი დახმარებით, ანტალიაში რიგით ოცდამეცხრამეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე, თურქული და სხვა უცხოური ფილმების პარალელურად, ქართული ფილმების ჩვენებაც მოეწყო. თურქეთის მაყურებელმა ხუთი ქართული ფილმი ნახა: კინორეჟისორების ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები", მერაბ კოკოჩაშვილის „ნუცას სკოლა", ლევან ზაქარეიშვილის „ისინი", ნოდარ მანაგაძის „ნათლისღება" და ზაზა ურუშაძის „აქ თენდება". ანტალიაში „ოქროს ფორთოხლის" მსვლელობას ესწრებოდნენ რეჟისორები: ნოდარ მანაგაძე, ლევან ზაქარეიშვილი და კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი.

— საკმაოდ ბევრი მაყურებელი ესწრებოდა ქართული ფილმების ჩვენებას, — თქვა ბატონმა არჩილმა. — განსაკუთრებით აღსანიშნავი გახლდათ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა აქტიურობა; როგორც ჩანს, მოენატრათ ქართული ფილმების მშობლიურ ენაზე მოსმენა, ნახვა. ანკარიდან, ფესტივალისთვის საგანგებოდ ჩამოვიდა თურქეთში საქართველოს ელჩი ტარიელ ლებანიძე. კინოფესტივალის დროს მთელი ანტალია ფესტივალის ემბლემებით და მცირე ქანდაკებებით იყო მორთული. იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული ფილმების ჩვენებამ, რომ, შესაძლოა, ნოემბრის ბოლოს, ანკარის საერთაშორისო ფესტივალზე, ქართული კინო კიდევ სხვა პროგრამით მიიწვიონ.

თეა ცაგურიშვილი.

ხსოვნა

ალექსი (ლექსო) გოდერძიშვილი

მხოლოდ ორმოცდაათი წელი იცხოვრა ალექსი გოდერძიშვილმა. იგი იყო შესანიშნავი მუსიკოსი და არაჩვეულებრივი პიროვნება. არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთაც ხიბლავდა ქართული ხალხური მუსიკის მსმენელს. მან თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი ამერიკაში გაატარა. მოღვაწეობდა ანსამბლ „დენსინგ ქვერეინთან" ერთად და ამერიკიდან დაბრუნებიდან თერთმეტი თვის შემდეგ იგი გამოაკლდა თავის ოჯახს და მეგობრებს. როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში ქართველ, ქართველ-ებრაელ და ამერიკელ მეგობრებს. მაგრამ, ალბათ, იგი ყველაზე მეტად ამერიკაში მყოფ თავის ერთადერთ ვაჟიშვილს ვანო გოდერძიშვილსა და ერთადერთ უსაყვარლეს რძალს, იგივე „შვილს", შორენა ბარბაქაძეს დააკლდა, რომლებიც შორეული ამერიკიდან გლოვობენ უსაყვარლეს მამას. თქვენ ყოველთვის იცხოვრებთ ჩვენში. თქვენი სახელი ოქროს ასოებით ამოიქარგა ჩვენს გულებში სამუდამოდ, ჩვენო საყვარელო ლექსო მამიკო.

ამერიკიდან
ვანო გოდერძიშვილი, შორენა ბარბაქაძე, ლია და ვიქტორ სირელსონები, ანსამბლი „დენსინგ ქვერეინი", ქართველი ებრაელები და ამერიკელი მეგობრები.

ხსოვნა

ალექსანდრე ჯვარშეიშვილი

გარდაიცვალა ალექსანდრე გაიოზის ძე ჯვარშეიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ჰიდრავლიკური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის წევრი, სამილსადენო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

დაიბადა 1914 წელს, 1936 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1946 წლიდან მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ჰიდრავლიკისა და წყალმომარაგების კათედრაზე, ხოლო 1952 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აქ მან გაიარა გზა ლაბორატორიის გამგიდან ჰიდრომანქანების კათედრის პროფესორამდე.

1952-1978 წლებში პარალელურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1965-1978 წლებში ამავე ინსტიტუტის ჰიდრომექანიზაციის და ჰიდროტრანსპორტის ლაბორატორიის გამგედ. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1968 წელს.

1970-1983 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატრანსპორტო სამეცნიერო პრობლემების კომისიის თავმჯდომარე. ათეული წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა სამთო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის ტრანსპორტის სექციას.

ა. ჯვარშეიშვილის სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობის ძირითადი სფერო იყო სადაწნეო მილსადენებში პოლიფაზური სითხეების მოძრაობისას გარდამავალი რეჟიმების, ჰიდრომექანიზაციის და ჰიდროტრანსპორტის აქტუალური საკითხების კვლევა. მას ჩატარებული აქვს ფართომასშტაბიანი მეცნიერული და საინჟინრო გამოკვლევები ვოლგოგრადის, ბრატსკის, ზეიას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე, ნორილსკის, კრივოიროგის, ჟელეზნოგორსკ-ილიმსკის, რუდნის, ტყიბულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატებში.

მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია პოლიფაზური სითხეების ჰიდრავლიკაში, მონაწილეა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა.

12 წლის განმავლობაში იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების „პოლიფაზური სითხის მექანიკა" და „მილსადენების ჰიდრავლიკა"-ს რედკოლეგიის წევრი. მუშაობდა აშშ ენციკლოპედიის „სითხის მექანიკის" სარედაქციო კოლეგიაში, სადაც გამოქვეყნებულია მისი სამეცნიერო სტატია.

ა. ჯვარშეიშვილის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 22 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო. მათ შორის უმეტესი უცხოეთშია გამოქვეყნებული.

ა. ჯვარშეიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულია 25 საკანდიდატო დისერტაცია. კონსულტანტია 8 სადოქტორო დისერტაციისა.

ა. ჯვარშეიშვილი არის ღირსების ორდენის და 6 მედლის კავალერი.

უკეთილშობილესი ადამიანის, მაღალი რანგის მეცნიერისა და პედაგოგის, ულრმესი ინტელექტის მქონე ადამიანის, სამშობლოს უდიდესი პატრიოტის, ბატონ ალექსანდრე ჯვარშეიშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მოსწავლეების და ახლობლების გულში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი.

შაქრო ხოფერია

ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზეთიდან დევნილი, მშენებელი, დიდი ოჯახის მამა, უტყუარი მეგობარი და გამორჩეული პიროვნება შაქრო ხოფერია.

დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში, იქვე მიიღო საშუალო განათლება. შემდგომში, დამოუკიდებლად შრომით საქმიანობაში ჩაბმულმა, პარალელურად ტექნიკური განათლებაც მიიღო და იმჟამად ოჩამჩირის რაიონში მშენებარე კინდღის მეფრინველეობის გიგანტის მშენებლობაზე დაიწყო მოღვაწეობა.

შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა, რამაც საბოლოოდ მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ მთელი ოჯახით გადასულიყო ოჩამჩირის რაიონში და იქვე დასახლებულიყო.

ხუთი შვილის მამამ თავის მეუღლესთან ერთად შესანიშნავი ოჯახი შექმნა და ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა.

სამწუხაროდ, 1989-91 წლების მოვლენებმა მშვიდობიან შრომას მოსწყვიტა და თავის ბიჭებთან ერთად აფხაზეთის თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში ჩააყენა, მაგრამ უსამართლო და უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული იძულებული შეიქმნა, თავის ბავშვობის კუთხეს დევნილის სახელით დაბრუნებოდა.

მას შემდეგ ლოდინით და მშობლიურ კერაში დაბრუნების იმედით მცხოვრებს ტრაგიკულმა აღსასრულმა თეკლათში უწია და თან გაიყოლა აფხაზეთში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი.

სენაკის საზოგადოებამ დაკარგა საუკეთესო პიროვნება. მეგობრებმა — უტყუარი მეგობარი, ოჯახმა მზრუნველი — მეუღლე და მამა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა, რომელიც მას ასე უყვარდა.

აუდიტორული კომპანია შპს „ეგრის-აუდიტი".

გახსენება

შერმადინ ბუხრაშვილი

ჩვენო შერმადინ, ორი წელი შესრულდა უშენოდ. უკანასკნელ მომენტამდე ვერ შევძელით ხელში კალმის აღება, არ გვინდოდა მწარე სიმართლისათვის თვალებში ჩაგვეხედა და შენზე, როგორც უკვე იმ ქვეყნად წასულზე, ისე დაგვეწერა, რა ძნელი ყოფილა ახლობელ და საყვარელ ადამიანზე გამოსათხოვარი სიტყვების მოძებნა.

ჩვენო კეთილო, გონიერო და ვაჟკაცო მეგობარო, ჩვენი ცხოვრების განუყოფელო ნაწილო, აწ უკვე ჩვენო ცრემლო და ტკივილო. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობდა ბრძენი: „ერთი აქ დასარჩენი და მეორე თან წასაყოლი". შენ ერთიც გქონდა და მეორეც.

რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, გითხრათ: ნათელში იყავ, შენს ვაჟკაცთან, შენს მიშიკოსთან ერთად. ალბათ, თქვენი სულები ერთად არიან. ჩვენ კი აქ ყველა შენი ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები შენზე ცრემლიან მოგონებებს შემოვინახავთ. როგორ ყვარებიხარ ყველას, ბუმბერაზო ადამიანო, როგორ აკლია დარგს, კოლექტივს შენი თავი, სადაც სიკეთისა და სისპეტაკის მაგალითს აძლევდი ყველას.

საქართველოს ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული კომიტეტი.

თენგიზ ცეცხლაძე

ადამიანები, მხოლოდ ერთი რამით ვგევართ ერთმანეთს, ყველანი სიკვდილ-სიცოცხლის ხიდზე დავიარებით და ბედნიერია ის, ვინც უფლის განსაზღვრულ მისიას ღირსეულად გაამართლებს. სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავს, სიკვდილი მეხის გავარდნას, და აი, გავარდა ორმოცი დღის წინ მეხი. სიცოცხლე შეწყვიტა ულამაზესმა, სიკეთისათვის, სიყვარულისთვის დაბადებულმა, ყველას მეგობარმა კაცმა, რომელსაც თენგიზ ცეცხლაძე ჰქვია. კაცი, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობის ღვთით ბოძებული ნიჭი ჰქონდა.

აღმერთებდა მეუღლეს, სიგიჟემდე უყვარდა შვილი და შვილიშვილები, ახლობლები, მეგობრები და არწივივით თავს ევლებოდა თავის მიერ ამაგდადებულ მეორე სტომატოლოგიურ პოლიკლინიკას.

მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებში და დღეს, ჩვენთვის, მისი არყოფნა აუნაზღაურებელი დანაკლისია.

ყოველ ცისმარე დილას სანთელი ინთება და არასოდეს არ ჩაქრება ჩვენო სულნათელო, ბატონო თენგიზ.

სანამ ცხოვრება დაგველის და წელში გაგვტეხავს, მაინც დაგელოდებით.

თქვენი ომახიანი ლამაზად ნამღერი „პაპანაქება ზაფხულში", ზაფხულის მიწურულს დასრულდა, მაგრამ ჩვენთვის მუდამ იჟღერებს.

13 ოქტომბერი ყოველთვის თქვენი დაბადების საზეიმო დღე იყო და ასე გაგრძელდება მუდამ.

ამჟამად მეორე სტომატოლოგიური პოლიკლინიკა თქვენი სახელობისაა და ყველანი ვამაყობთ პოეტის ნათქვამით:
„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე, ესეც, გმირობაა დიდი".

ქ. თბილისის თ. ცეცხლაძის სახელობის
სს მეორე სტომატოლოგიური
პოლიკლინიკის სახელით ქ. კობიაშვილი.

ბუაჩიძის ქუჩის მე-20ა კორპუსის მობინადრეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა
დავით ლევანის ძე ჯინჯიხაძე
და მეუღლე ციცოს, შვილებს ირაკლის, ნინოს უცხადებენ თანაგრძნობას. ბატონი დავითის სახელი დაუვიწყარი იქნება მეზობლების გულში.



ჭყონიების ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა
მერაბ იურის ძე
ჭყონია
პანაშვიდი 11, 12 X, 4 სთ-ზე.
გამოსვენება 13 X, 3 სთ.
კოსტავას ქ. № 6.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ სამტრედიის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურის უფროს გამომძიებელს მერაბ შეროზიას მამის
ნოდარ შეროზიას
გარდაცვალების გამო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა ლილი მელაშვილის დედამთილი
ნინო სხირტლაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კონტაქტები

მრავალ უცხოელს გაუჩნდა სურვილი

კახეთის კულტურის დღეები საფრანგეთში

ბოლო წლებში კახეთის მხარემ განსაკუთრებით გააააქტიურა საერთაშორისო კონტაქტები — მეგობრული და საქმიანი ხელშეკრულებები გააფორმა საფრანგეთის ბურგუნდიის იონის დეპარტამენტის, უკრაინის ივანო-ფრანკოვსკის, პოლონეთის კარპატებისპირეთის და ავსტრიის შტირიის მხარეებთან.

საფრანგეთის ბურგუნდიის იონის დეპარტამენტის მხარემ უდიდესი დახმარება აღმოუჩინა კახეთს — მოსწავლეები მიიღო სხვადასხვა კოლეჯებში, მოეწყო პედაგოგების სტაჟირება დიჟონის უნივერსიტეტში, ხოლო მეღვინეებისა — შესაბამის საწარმოებში. ფრანგული მეთოდური ლიტერატურით აღიჭურვა როგორც ფრანგულენოვანი სკოლები, ასევე უმაღლესი სასწავლებლები, თანამედროვე კომპიუტერული ცენტრები მოეწყო ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში. კომპიუტერული ტექნიკა გადაეცათ კახეთის მხარის რაიონულ გამგეობებს, საშუალო სკოლებს, მუზეუმებს, ტელეკომპანიებს, თელავის სახელმწიფო თეატრს დაუმონტაჟეს უახლესი რადიოფიცირებისა და განათების სისტემა.

იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ასოციაცია „იონი-კახეთი". კახეთის კულტურის დღეებმა იონის დეპარტამენტში დიდი წარმატებით ჩაიარა.

წლეულს 23 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე საფრანგეთში, იონის დეპარტამენტში გაიმართა კახეთის კულტურის დღეები, რომელშიც მონაწილეობდა 60-კაციანი დელეგაცია. მის შემადგენლობაში იყვნენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ქართული კულინარიის ოსტატები, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, ჯანმრთელობის, განათლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები და მწერლები. 2 კვირის განმავლობაში ქალაქ ოსერში, სანსში, ტონერსა და სხვა ქალაქებში გაიმართა კონცერტები კახეთის მხარის სიმღერის ფოლკლორულ ანსამბლ „გურჯაანისა" და ლაგოდეხის ცეკვის ანსამბლ „ლაკვასტის" მონაწილეობით, რომლებსაც დაესწრო უამრავი მაყურებელი. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. იონის დეპარტამენტის თითქმის ყველა მცხოვრები გაეცნო კახეთის კულტურას, ქართულ სამზარეულოს, მოეწყო კახეთის მხარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დელეგაცია მონაწილეობდა შაბლის რთველში, ღვინის დეგუსტაციაში.

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს კახეთის მხარეში ბიძინა სონღულაშვილს შეხვდნენ იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს წევრები და ქალაქების მერები, სადაც ისაუბრეს არაერთ აქტუალურ საკითხზე. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ, სენატორმა ანრი დე რენკურმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ 2003 წლის პროგრამით, რომელიც უამრავ ღონისძიებას ითვალისწინებს, გამოყოფილია 300 000 ევრო კახეთის მხარისათვის. განხორციელდება მიზნობრივი პროგრამები: პედაგოგების სტაჟირება, ახალგაზრდების სწავლება იონის დეპარტამენტის სხვადასხვა კოლეჯებში, კომპიუტერული ტექნიკით დახმარება, ფრანგულენოვანი ბიბლიოთეკების მოწყობა, სიღნაღის უნივერსიტეტში კომპიუტერების დამატება, კახელი ექიმების სტაჟირება, რეგიონული ტელევიზიის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა.

ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, მრავალ უცხოელს გაუჩნდა ურთიერთთანამშრომლობის სურვილი. ფრანგმა ბიზნესმენებმა, მაგალითად, მოისურვეს ერთობლივად განავითარონ სამონადირეო ტურიზმი.

ქ. ბრიუსელში, ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კახეთის მხარის დამკვირვებლის სტატუსით ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანების შესახებ.

თემურ ხარბედია.

დღის

სხარტულა გამოსარჩლება

ყველამ ვიცით: ჩვენში
ახლა ინგლისურის ბუმია,
ამ ენაზე მალე, ალბათ,
„აჟღერდება" მუმიაც;
კი ბატონო, თუ გვჭირდება,
ვისწავლოთ და „ვისპიქოთ",
ოღონდ უფრო „ჯორჯიანზე"
ვიზრუნოთ და ვიფიქროთ...

თამაზ ებანოიძე.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გულმოწყალება

მადლი მადლისა წილ

დევნილთა მძიმე ხვედრისა და გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობების ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ასეთ ვითარებაში ჩვენი, დევნილების, მხრიდან მხოლოდ პრეტენზიები და გულისტკივილი თუ არის მოსალოდნელი, მაგრამ კეთილი ადამიანების მხარდაჭერა და თანადგომა ამ გულისტკივილს გვავიწყებს და მადლიერების გამოსახატავად განგვაწყობს.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ექიმი, თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე შოთა პეტრიაშვილი, რომლის ძალისხმევითა და მონდომებით საავადმყოფოს ერთ-ერთ კორპუსში განთავსებულ დევნილთა სამოცდაათამდე ოჯახს წლების განმავლობაში ყურადღება და თანადგომა არ მოჰკლებია. ბატონმა შოთამ მიწისძვრით დაზარალებულ რამდენიმე ოჯახსაც მისცა თავშესაფარი. მისი უშუალო ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით მრავალ დევნილს უფასოდ უმკურნალეს.

ბატონი შოთა პეტრიაშვილის მიმართ პრესაში ადრეც გამოგვითქვამს მადლიერების სიტყვები და ორმაგად სასიხარულოა, რომ მისი დახმარება შემთხვევითი, დროებითი არ აღმოჩნდა და ჩვენგან კვლავაც იმსახურებს მადლს მადლისა წილ.

ასევე მადლიერების გულწრფელი სიტყვებით მივმართავთ დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორს, პროფესორ გ. გელბახიანს, ექიმებს: დ. კირკიტაძეს, ი. კიკნაძეს, მ. კივილაძეს, ზ. მაჭავარიანს, დ. ხუროშვილსა და სხვებს, რომელთაგან მუდმივად ვგრძნობთ ყურადღებასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას.

დევნილთა სახელით,
ზურაბ აცაგურიანი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელისუფლებო სპეციალური კავშირები" იუწყება, რომ ა.წ. 16 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" №198 (4257)-ში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „განექსმა".

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, გ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS—98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.